# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 2 ოქტომბერი 2004 №229 (2250) ფასი 50 თეთრი



ბადრი კეთილაძის ფოტო

## ალენ ჟირესის საქართველო უკრაინისთვის

*მეკარეები*

*ზვიად სტურუა (ტორპედო), აკაკი დევაძე (თბილისი), გიორგი ლომაია (ხიმკი, რუსეთი)*

*მცველები*

*ოთარ ხიზანეიშვილი (დინამო, რუსეთი), კახა მჟავანაძე (ანჟი, რუსეთი), ლაშა სალუქვაძე (დინამო), გივი კვარაცხელია (თბილისი), დავით კვირკველია (დინამო), გიორგი შაშიაშვილი (დინამო)*

*ნახევარმცველები*

*ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გოჩა ჯამარაული (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), ლადო ბურდული (ლოკომოტივი), ჯაბა კანკავა (დინამო), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ალექსანდრე რეხვიაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია)*

*თავდამსხმელები*

*ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), შოთა არველაძე (რეინჯერსი, შოტლანდია)*

## საქართველო,

ამ გულს თუ ვერ გაუგე...



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

### კახი კახიაშვილი ცხინვალში ბრუნდება



ბადრი კეთილაძის ფოტო

## ფული არის!

### ფიფას ენა ჩოლარიამ იცის



# ფული მოდის! ჩოლარიამ ფიფა შეკერა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალდანიშნული აღმასრულებელი დირექტორი ვალერი ჩოლარია საქმეს შეუდგა და ის პრობლემებიც, ბოლო დროს ფედერაციას ფიფა-უეფასთან რომ შეექმნა, სანახევროდ უკვე მოაგვარა.

მოგეხსენებათ, ფედერაციას ფიფამ და უეფამ ყოველგვარი ფინანსური დახმარება შეუწყვიტეს და ქართული ფეხბურთიც უკაპიკოდ დარჩა. ჩოლარიას წინამორბედმა ანდრო აბაშიძემ იმ დროს, როცა ფიფასა და უეფას ფედერაციისთვის გრანტები უნდა გამოეყოთ, ფეხბურთის მამებს აცნობა, ფედერაცია გაბერილ თანხებს გთხოვ... და ვიდრე თავად გავერკვევი ვითარებაში, დახმარებისგან თავი შეიკავეთო. ფიფა-უეფასთვის აბაშიძის სიტყვები დახმარების პროგრამის შესაჩერებლად საკმარისი გამოდგა. პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ კი ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ფედერაციის აღმასკომს ანდრო აბაშიძე საერთოდ გაათავისუფლებინა თანამდებობიდან და მის ნაცვლად ძველ მეგობარს ვალერი ჩოლარიას დაუძახა. დაუძახა და აგერ, პირველი შედეგიც...

— ჩათვალეთ, რომ ფედერაციას ფიფასთან არანაირი პრობლემა აღარ აქვს და ის პროგრამაც, რომლითაც ფიფა ფედერაციას ფინანსურად ეხმარებოდა, უახლოეს მომავალში მთლიანად აღდგება. ეგ კი არა, დახმარება შესაძლოა უფრო მეტიც იყოს. ფიფას წარმომადგენლები დეკემბერში თბილისში ჩამოვლენ, ქართულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებას დეტალურად შეისწავლიან და ყველა ჩვენს პროექტს დააფინანსებენ — გვითხრა ვალერი ჩოლარიამ, რომელსაც გუშინ შვეიცარიაში დავუკავშირდით — ფიფასგან უკვე იმის გარანტიაც მივიღე, რომ საქართველოს ნაკრების სტუმრად თამაშების ხარჯებს მთლიანად ისინი დააფინანსებენ. საშინაო მატჩების ხარჯებს კი ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავლით დავფარავთ. დღესვე შევხვდი ფედერაციის ტექნიკური სპონსორის „პუმას" უფროსობას და თანამშრომლობის პირობები კიდევ უფრო გავიუმჯობესეთ. კერძოდ, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები უახლოეს დღეებში დამატებით სრული ეკიპირების ორ კომპლექტსაც მიიღებენ. უკვე პრობლემა არ იქნება, ეროვნულმა გუნდმა სტუმრად ყველა თამაში წითელი ფორმით ჩაატაროს, შინ კი თეთრები მოირგოს. გვექნება სხვა ფერის სათადარიგო ფორმაც. მოკლედ, ნაკრები უკვე იდეალურად იქნება ეკიპირებული და ამ ფირმასთან ასეთი პირობებით, მომავალ შესარჩევ ციკლშიც ვითანამშრომლებთ.

ორშაბათს კი ვალერი ჩოლარიას უეფაში ელიან ყველა იმ პრობლემის განსახილველად, რამაც დახმარების შეჩერება გამოიწვია. ჩოლარია იმედიანადაა და ამბობს, რომ უეფაშიც ყველაფერი ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ გადაწყდება.

**ქობა ინასარიძე**

# ჟირესმა შევჩენკო იცის, უკრაინა - არა

## ჟორჟიენ ფუტბოლი ფრანს ფუტბოლში

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა გუშინ ის 21 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც უკრაინასთან შესარჩევი მატჩისთვის მოამზადებს. შეხვედრა 13 ოქტომბერს, ლვოვში შედგება, ჩვენები კი 7 ოქტომბერს თბილისში შეიკრიბებიან, აქვე ივარჯიშებენ და სათამაშოდ 11-ში გაფრინდებიან.

ნაკრების შემადგენლობაში დიდი და მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის. ჟირესმა თურქეთთან და ალბანეთთან ნაცადნი მიიწვია, თუმც ერთი დებიუტანტიც ჰყავს — ქუთაისის „ტორპედოს" მეკარე ზვიად სტურუა. ნაკრებში დაბრუნდა „დინამოს" მცველი გიორგი შაშიაშვილი. სამაგიეროდ, არის ერთი სერიოზული დანაკლისიც — ლვოვში ვერ ითამაშებს კახა კალაძე, რომელიც ორი ყვითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებულია.

ალენ ჟირესმა სანაკრებო ამბებამდე, თბილისის „დინამოს" მიულოცა წარმატება და დაგვაიმედა, თავს არც ნაკრები შეირცხვენსო.

— უკრაინასთან ძალიან რთული თამაში გველის. მათაც ჩვენსავით ოთხი ქულა აქვთ და თან საქართველოსთან მატჩამდე უკრაინა საბერძნეთს მასპინძლობს და შესაძლოა, იქ ჩასულებს უკრაინა ჯგუფის ლიდერად დაგვიხვდეს. ამიტომაც მთელი სერიოზულობით გვმართებს ამ თამაშისთვის მომზადება. შემადგენლობა დიდად არ შეგვიცვლია. ისევ ის ფეხბურთელები გამოვიძახეთ, რომლებმაც თურქეთთან და ალბანეთთან ითამაშეს.

– კახა კალაძის არყოფნა ჩვენთვის მართლაც დიდი დანაკლისია. თუმც რომც ყოფილიყო, დაჟინებით მაინც ვერ ვიტყოდი, შევჩენკოს შეაჩერებსო. შევჩენკო უნივერსალური ფეხბურთელია და მისი განეიტრალება ურთულესი საქმეა.

... ზურაბ ხიზანიშვილს ნახევარი საათის წინ ველაპარაკე. მას კუნთი სტკივა და შესაძლოა, უკრაინასთან ვერც მან ითამაშოს. ყოველ შემთხვევაში, ხიზანიშვილის თაობაზე ზუსტი პასუხი ორშაბათს გვეცოდინება. იქამდე მას ექიმები საფუძვლიანად შეამოწმებენ.

... არ არის გამორიცხული, კალაძისა და ხიზანიშვილის არყოფნისას დაცვის ცენტრში მალხაზ ასათიანი ვათამაშოთ. ის მოსკოვის „ლოკომოტივში" სწორედ ამ პოზიციაზეა და საქმეს კარგად აკეთებს.

... უკრაინასთან რამდენი თავდამსხმელით ვითამაშებთ, ჯერ ვერ გეტყვით. საერთოდ, ორი ფორვარდით თამაშის მიმდევარი კი ვარ, მაგრამ უკრაინამდე ორი კვირაა და შესაძლოა, რაღაც-რაღაცები შეიცვალოს.

... გოჩა ჯამარაულის ტრავმა სერიოზული არ არის. მასაც ველაპარაკე და თავად მითხრა, 13 ოქტომბრამდე გამოვჯანმრთელდებიო. ვარჯიში განაახლეს მეკარეებმა გიორგი ლომაიამ და აკაკი დევაძემ, თუმც, ყოველი შემთხვევისთვის, მესამეც — ტორპედოელი ზვიად სტურუა გამოვიძახეთ.

... უკრაინის ნაკრები, რა თქმა უნდა, მარტო შევჩენკო არ არის. როგორც ყოველთვის, უკრაინელებს ახლაც ძალიან ორგანიზებული გუნდი ჰყავთ. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით. დანია-უკრაინისა და ყაზახეთ-უკრაინის მატჩების ფირები მაქვს და ახლა მათ გარჩევას დავიწყებთ. ისე კი, უკრაინის საფრანგეთთან თამაში ვნახე. თუმც მაშინ უკრაინელებმა ძველმოდურად ითამაშეს და ბევრიც არაფერი ჩამინიშნავს, თანაც შევჩენკო არ ჰყავდათ.

... საქართველოსთან მატჩამდე ოთხი დღით ადრე უკრაინა საბერძნეთს მასპინძლობს. ვისურვებდი, რომ ეს მატჩი ფრედ დამთავრდეს და მეტოქეებმა ქულები გაიყონ. ამ შეხვედრას



ჩვენი მზირი აუცილებლად დაესწრება და ლვოვში ჩასულებს ინფორმაციას დაგვახვედრებს.

... არა მგონია, უკრაინას გაუვალი დაცვა და მეკარე ჰყავდეს. ამის დასტურია ისიც, რომ მათ დანიამაც გაუტანა და ყაზახეთმაც.

... უკრაინა მასპინძელია და ჩვენთან თამაშის წინ ფავორიტიც, რა თქმა უნდა, ისაა. თუმც ეს მატჩამდე, მატჩისას კი იმედი მაქვს, სხვანაირად იქნება.

– ლვოვში ისეთ მსაჯს ვისურვებდი, რომელიც ფეხბურთელებს თავისუფლად თამაშის საშუალებას მისცემს, მათ არ ანერვიულებს და შეხვედრას ყოველ წუთს არ გააჩერებს.

... საფრანგეთში საქართველოს ნაკრების მიმართ ძალიან დიდი ინტერესია. თურქეთთან და ალბანეთთან ჩვენს მატჩებს, მაგალითად, „ეკიპმა" თითო გვერდი დაუთმო. დღეს საფრანგეთის ტელევიზიის ჟურნალისტებს ველი, ისინი უკრაინაში წასვლამდე თბილისში დარჩებიან და ქართულ ფეხბურთზე გადაცემას მოამზადებენ. 10 ოქტომბერს კი „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტი ჩამოვა და უკრაინაშიც გამოგვყვება. მოკლედ, ბოლოდროინდელი წარმატებების შემდეგ საქართველო უკვე ყველას აინტერესებს, ფრანგებს განსაკუთრებით.

**ქობა ინასარიძე**

# გია გეგუჩაძის იარაღი რისკი და რწმენაა

**„დინამოს" წარმატება ჯერაც იმდენად ცხელია, რომ ანალიტიკურად საუბარი იქნებ ადრეული იყოს. თუმც სალაპარაკოს და საკამათოს რა გამოლევს — „სარბიელის" შეკითხვებს დინამოელთა მცველი გიორგი შაშიაშვილი პასუხობს...**

— როგორ გამზადებდათ გია გეგუჩაძე „ვისლასთან" მატჩის წინ, ყველაზე მეტად რაზე ამახვილებდა ყურადღებას?

— პირველ რიგში ფსიქოლოგიურად გვამზადებდა, ყველანაირად ცდილობდა, არ გვენერვიულა და თავისუფლად გვეთამაშა, წინასწარ ვამზადებდით კუთხურების გათამაშებასაც, რამაც „ვისლა" გვარიანად ანერვიულა.

— პირველი ტაიმის შუაში „ვისლამ" ბურთი დაგიმალათ...

— არ გვინდოდა, რომ პირველი წუთებიდანვე, თავქუდმოგლეჯილნი შეტევაში წავსულიყავით, რადგან გოლის არგაშვებაზეც ვფიქრობდით. „ვისლა" კი მართლაც კარგად აგორებდა ბურთს, მაგრამ ტაიმის მიწურულს იქით შევუტიეთ — მათ კართან კუთხური კუთხურზე იყო, სულ ჩვენ ვიყავით შეტევაში.

— მაინც რის ხარჯზე სძლია „დინამომ" „ვისლას"?

— მონდომების ხარჯზე, ჩვენ მეტოქეზე უფრო გვწყუროდა მოგება. კრაკოვში სამი გოლი გავიტანეთ და ვირწმუნეთ, რომ „ვისლას" დამარცხება შეგვეძლო.

— შესვენებაზე გეგუჩაძემ რა დავალება მოგცათ?

— განსაკუთრებული არაფერი, მიხეილ კაკალაძემ და კახა ალადაშვილმა ფლანგები გაცვალეს. გოლი კი გადამწყვეტ მომენტში



გავიტანეთ — დროის იმ მონაკვეთში რომ არ გაგვეტანა, თამაშში გარდატეხას „ვისლა" შეიტანდა.

— რაც „დინამომ" გვიჩვენა, ეს მაქსიმუმი იყო? ჯგუფურ ეტაპზე წარმატებით თამაშისთვის „დინამოს" რეზერვი გააჩნია?

— შეიძლება ითქვას, რომ ამ ევროსარბიელზე ჩვენ უკვე მივაღწიეთ დადებით შედეგს. რაც შეეხება რეზერვს, „დინამოს" შემადგენლობა მანამდეც იცვლებოდა ხოლმე, რათა ფეხბურთელებს დასვენების საშუალება გვქონდეს. მოკლედ, გააჩნია იმას, თუ ჯგუფში რა გუნდები შეგვხვდება.

— მაინც რა შესძინა გეგუჩაძემ „დინამოს" ისეთი, რაც მანამდე არ ჰქონია?

— გეგუჩაძეს სწორი მიდგომა აქვს ფეხბურთელებთან, ფეხბურთელს უნერგავს რწმენას, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება მოგება. მისი ტაქტიკური სქემა 4-3-3-იც ამართლებს. გეგუჩაძეს ჟურნალისტებმა რისკიანი მწვრთნელი შეარქვით და ფეხბურთში რისკი აუცილებელია. თუმც ზოგადად, მხოლოდ რისკი არ მოიცავს ყველაფერს — გეგუჩაძეს თავისი ალლო და სტილი აქვს.

**დავით თაგართქილაძე**

## უეფას თასი 2004-2005

### ჯგუფური ეტაპი. განთესვა

| | |
|---|---|
| **I კალათა** | |
| ლაციო (იტალია) | 83.531 |
| პარმა (იტალია) | 66.531 |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 65.247 |
| ნიუკასლი (ინგლისი) | 61.511 |
| აეკ (საბერძნეთი) | 51.467 |
| შტუტგარტი (გერმანია) | 47.331 |
| ბრიუგე (ბელგია) | 43.528 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) | 42.600 |
| **II კალათა** | |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | 42.350 |
| ოსერი (საფრანგეთი) | 34.947 |
| შალკე (გერმანია) | 34.331 |
| სპორტინგი (პორტუგალია) | 33.969 |
| სარაგოსა (ესპანეთი) | 33.350 |
| ბეშიქთაში (თურქეთი) | 32.656 |
| ბენფიკა (პორტუგალია) | 29.969 |
| ლილი (საფრანგეთი) | 27.947 |
| **III კალათა** | |
| ბილბაო (ესპანეთი) | 26.350 |
| სევილია (ესპანეთი) | 26.350 |
| დინამო (ხორვატია) | 25.733 |
| ბაზელი (შვეიცარია) | 25.382 |
| სოშო (საფრანგეთი) | 24.947 |
| მიდლსბრო (ინგლისი) | 20.511 |
| უტრეხტი (ჰოლანდია) | 20.247 |
| გრაცერი (ავსტრია) | 19.970 |
| **IV კალათა** | |
| პარტიზანი (სერბეთი) | 18.655 |
| სტიაუა (რუმინეთი) | 17.881 |
| ჰართსი (შოტლანდია) | 17.600 |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) | 17.247 |
| ალემანია (გერმანია) | 16.331 |
| ამიკა (პოლონეთი) | 16.176 |
| პანიონიოსი (საბერძნეთი) | 15.467 |
| დნიპრო (უკრაინა) | 14.300 |
| **V კალათა** | |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | 13.046 |
| სტანდარდი (ბელგია) | 12.528 |
| ეგალეო (საბერძნეთი) | 11.467 |
| ალკმაარი (ჰოლანდია) | 11.247 |
| ზენიტი (რუსეთი) | 9.572 |
| ბევერენი (ბელგია) | 9.528 |
| აუსტრია (ავსტრია) | 8.970 |
| დინამო (საქართველო) | 1.650 |

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 16 ლიგა 9 ტური
ანონსი

ბოლნისი. 2 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — კოლხეთი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

მცხეთა. 2 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

გორი. 2 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — ლოკომოტივი

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

თბილისი. 2 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი

## თბილისი — ტორპედო

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ბათუმი. 3 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

## ბათუმი — დინამო

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

# დინამო ზღვაზეა, მაგრამ ვინ დაასვენებს...

თბილისის „დინამოს“ დასვენება ალალად ეკუთვნის. პოლონურ „ვისლასთან“ გუშინწინდელი დაუვიწყარი მატჩის შემდეგ დინამოელთა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ თქვა კიდეც, ჩემი ნება რომ იყოს, ბიჭებს ოთხდღიან შვებულებას მივცემდიო, მაგრამ...



ზვიად სტურუა „თბილისთან“ სანკრებო შანსითაც ითამაშებს

საქმე თავისას ითხოვს და უეფას თასის ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე „დინამოს“ ეროვნულ ჩემპიონატში მოუწევს საკუთარი პოზიციების გამყარებაზე ზრუნვა.

ეს შესავალი იმად დაგვჭირდა, რომ გვეთქვა: „ბათუმი“ — „დინამო“ კალენდრით დადგენილი 2 ოქტომბრის ნაცვლად 3-ში გაიმართება. „დინამომ“ ერთდღიანი დასვენება ითხოვა და აბა, ვინ ეტყოდა უარს — პროფლიგა თუ „ბათუმი“?

მოკლედ, ჩემპიონატის მე-9 ტურის მთავარი ჯახი კვირასაა და ორმაგად სასიამოვნოა, რომ ამისთანა მატჩში ერთ-ერთი მხარე „ბათუმია“. ბოლოხანს მოყოჩაღებული და ამბიციამომატებული ზღვისპირელები, როგორც იქნა, კვლავ გაერივნენ ქართული ფეხბურთის ლიდერთა მარაქაში.

და რადგან „ბათუმ“ — „დინამოზე“ ამდენი ვთქვით, ჩემპიონატის მეორე ლიდერი, ქუთაისის „ტორპედოც“ ხომ უნდა ვახსენოთ. მით უმეტეს, ქუთაისურებს მეტოქეც ღონიერი ჰყავთ „თბილისის“ სახით.

ამ მატჩს ალბათ ალენ ჟირესიც შეავლებს თვალს და ამ ამბავმა ორმაგად უნდა გაახაროს ტორპედოელთა მეკარე ზვიად სტურუა, რომელიც ფრანგმა საუკრაინოდ ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში შეიყვანა. ერთი სიტყვით, სტურუას შანსი აქვს, ჟირესის თვალწინ იყოჩაღოს, ეს კი სტუმართათვის მცირე საქმე სულაც არაა.

„თბილისს“ დისკვალიფიცირებული დავით ოდიკაძე დააკლდება. თან გიორგი დევდარიანის გუნდმა წინა ტურში „ლოკომოტივთან“ წააგო და ეჭვი არაა, „ტორპედოსთან“ მოსაგებად უკან არ დაიხევს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ისანში გავლა ნაღდად ღირს.

ბოლნისში „სიონი“ — „კოლხეთია“ და ამ მატჩში ყველაზე საინტერესო სერგო გაბელაიას დებიუტი ჩანს. კოლხთა ახალი თავკაცი რთულ საქმეს შეეჭიდა — ჩაძირული გუნდი ნაპირზე უნდა გაიყვანოს და რა გამოუვა აქედან, ვნახავთ.

„ლოკომოტივს“ მშვენიერი შანსი აქვს, სამი ქულა შეიმატოს და ალბათ ასეც მოხდება. დაჩაჩანაკებული „დილა“ გორშიც კი არ ჩანს რკინიგზელთა შემჩერებელი.

იგივეს თქმა შეგვიძლია „ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონის“ წყვილზეც. ვეტერინარები აშკარად ფავორიტები არიან, მაგრამ ძალიან ჩაუძიებლად რომ შევადაროთ, „ზესტაფონი“ „დილაზე“ უფრო სახიფათო გუნდი გვგონია და გამორიცხული არაა, სიურპრიზზეც იფიქროს.

**ბახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 6 | 2 | 0 | 23:4 | 20 |
| ტორპედო | 8 | 6 | 2 | 0 | 14:2 | 20 |
| თბილისი | 8 | 5 | 1 | 2 | 18:11 | 16 |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 3 | 1 | 14:4 | 15 |
| ბათუმი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:6 | 14 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 13:13 | 11 |
| ზესტაფონი | 8 | 2 | 0 | 6 | 6:20 | 6 |
| სიონი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:23 | 6 |
| დილა | 8 | 1 | 0 | 7 | 6:17 | 3 |
| კოლხეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 3:16 | 3 |


ყურადღება!
ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ
განაახლა 1990-1997 წლებში
დაბადებულ ბავშვთა მიღება
ჩვენი მისამართია: თიანეთის
გზატკეცილი 25
(გლდანულის გადასახვევთან),
ოლიმპიური რეზერვების სკოლის
ტერიტორიაზე
ტელეფონი: 899 76 21 24, 893 25-14-66


*თბილისი „დინამოს“ მერე სექტემბრის გუნდად თამამად შეგვიძლია, თბილისის „ლოკომოტივი“ მივიჩნიოთ. მეშვიდე-მერვე ტურებში ზაურ სვანაძის ბიჭებმა ჯერ „ვისლასთან“ სტუმრად ნაყოჩაღევ დინამოელებს დასცანცლეს ქულა, წინა კვირას კი ასევე ნაევროპალ „თბილისს“ სძლიეს პირწმინდად — 3:1.*

*შემადგენლობიდან გამომდინარე, „ლოკოს“ „აბობოქრება“ გასაკვირი არცაა: გუნდში შუშაკისდროინდელი „დინამოს“ სამი ფეხბურთელია, რომელსაც ამას წინათ ლადო ბურდულიც დაემატა და ახლა, მგონი, მეხუთე ექსდინამოელის ჯერია — ყოველ შემთხვევაში, ათიოდე დღეა, რკინიგზელებთან ერთად ვიტალი დარასელიაც ვარჯიშობს. „ლოკომოტივის“ თავკაცი ზაურ სვანაძე ოპტიმისტურად, თუმც მაინც სიფრთხილით უყურებს მომდევნო ტურებს...*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარტო დაცვა რას დაგიცავს

## ლოკომოტივი დეპოდან სექტემბერში გამოვიდა

— ბოლო მატჩებში გუნდს აშკარად დაეტყო პროგრესი. თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ სადღეისოდ საქართველოში ყველა გუნდს ვჯობივართ.

— „ლოკომოტივს“ ყოველთვის ფრთხილ, დაცვაზე აქცენტირებულ გუნდად ვიცნობდით, თუმც „თბილისთან“ უფრო შეტევაზე აგეთ თამაში. მომდევნო მატჩებშიც ასე იქნება?

— ბევრჯერ მითქვამს, რომ დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი არ ვარ. ჩვენ ყოველთვის შეტევაზე ვფიქრობთ, მაგრამ მატჩის მსვლელობა ზოგჯერ სხვაგვარად გაიძულებს. რაც ჩემპიონატი დაიწყო, ფეხბურთელებისთვის არც ერთ თამაშში არ დამივალებია უკნიდან, კონტრშეტევაზე თამაში. ასე იყო „თბილისთან“ და ასე იყო „დინამოსთანაც“.

— ეს ალბათ იმიტომაც, რომ შემადგენლობა გააძლიერეთ და დაცვაში ჩადგომა აღარ „გიხდებათ“, თუმც ბოლო ტურებში კვლავ ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი — ბობოხიძე გყავდათ...

— იყოს ერთი თავდამსხმელი, რა პრობლემაა. მთავარი, ამ ფორვარდს შემტევი ნახევარმცველები აქტიურად დაეხმარონ. ბობოხიძე კი ამართლებს, მისით ძალიან კმაყოფილი ვარ.

— „თბილისთან“ ნამატჩევს ალექსანდრე გოგობერიშვილი შეაქეთ. ფიქრობთ, რომ მისი გადაყვანით „ლოკომოტივის“ ნახევარდაცვის ცენტრი სხვებისაზე ძლიერია?

— გოგობერიშვილი ნებისმიერი კლუბისთვის დიდი ძალაა. მან მობილიზება შემატა გუნდს, შავ საშუშაოსაც ასრულებდა და შეტევებსაც იწყებდა.

— ლადო ბურდულზეც უნდა გკითხოთ. ითამაშებს იგი მომდევნო ტურში „დილასთან“?

— მისი გადმოყვანით კარგი საქმე გაკეთდა. ლადო განაცხადშია, სრული დატვირთვით ვარჯიშობს და თუ რაღაც გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გორში აუცილებლად ითამაშებს.

— რამდენიმე დღეა, ვიტალი დარასელია თქვენთან ვარჯიშობს, რა გადაწყდა, რჩება „ლოკომოტივში“?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. ვიტალიმ გვთხოვა, თქვენთან ვივარჯიშებო, თუმც გუნდში დარჩენის სურვილი თავად არ გამოუთქვამს, ვნახოთ...

— კლუბის ხელმძღვანელობისთვის ხომ არ გითხოვიათ მისი დამატება, ან თავად დარასელიას ხომ არ უსაუბრია მათთან?

— მერწმუნეთ, ჯერ არაფერი ვიცი. ვიტალისაც არ უთქვამს, როდემდე დარჩება ჩვენთან.

— მალე ჭამაში მოდისო და, ჩემპიონობას ხომ არ უმიზნებთ?

— არა, ჩემპიონობაზე ჯერ არ ვფიქრობთ, მაგრამ თუ თამაში კიდევ გავაუმჯობესეთ, რატომაც არა... თავიდან ხუთეულში მოხვედრას ვგეგმავდით და პროგრამა-მინიმუმი ახლაც ესაა. მოკლედ, დრო გვიჩვენებს, ჯერ ჩემპიონატის მეოთხედიც არ გასულა.

— შემადგენლობა ძლიერი გყავთ, მაგრამ თუ ხედავთ გუნდში ისეთ ნაკლს, რითაც კონკურენტებს, მაგალითად „დინამოს“, ჩამორჩებით?

— მთავარი მთლიანად გუნდია და არა კონკრეტული სათამაშო ხაზი, მაგრამ დაცვაში გვიჭირს. ლაშა სალუქვაძე „ლოკომოტივისთვის“ დიდი ძალა იყო და მისი წასვლით ჩვენ ძალიან ბევრი დაგვაკლდა, „დინამოს“ კი შეემატა.

— ახალგაზრდებით თუ ხართ კმაყოფილი, ანუ მთელი სიმძიმე გამოცდილ ფეხბურთელებს ხომ არ დააწვება?

— ვფიქრობ, ნორმალური რეზერვი გვყავს — იგივე სანიკიძე და ქებაძე გუნდის ლიდერებს კარგად უბამენ მხარს.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს პირველი ლიგა · პირველი ლიგა · 16 ჩემპიონატი · ლიგა · წრე · 7 ტური

პირველი ლიგის პირველი წრის მე-7 ტური

თბილისი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. ეროვნული. 100 მაყურებელი

## დინამო-2 2:1 ამერი

0:1 სევასტოპულო (28), 1:1 დვალიშვილი (41), 2:1 მახარაძე (67)

დინამო 2: კობახიძე, თომაშვილი, მამნიაშვილი, მარკოზაშვილი, ქუცურუა, მახარაძე, მერებაშვილი, ხმალაძე, ქობალია (მუმლაძე 46), დვალიშვილი, ნავალოვსკი
მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი

ამერი: ნაჭყეპია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, შონია, სილაგავა, კაიდარაშვილი (წინამძღვრიშვილი 73), დეკანოსიძე, მჭედლიშვილი (ნიკოლაიშვილი 63), სევასტოპულო, სამსიანი (ბჟალავა 74)
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ქუცურუა (30), მამნიაშვილი (39)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ა. ნონიკაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი; ლ. კვარაცხელია

# კლასიკური მომენტი ბევრის და ცოტას ამბავი

**პაპუნა კედია**

ცნობისთვის: შეხვედრას საქართველოს ნაკრების შეფები ესწრებოდნენ. როგორც ჩანს, „ვისლასთან" „დინამოს" წარმატების შემდეგ ალენ ჟირესს „დინამო 2"-ის ყმაწვილთა და სხვა პირველლიგელთა თამაშის ნახვაც მოუნდა. ამ შემთხვევაში ეს სხვა „ამერი" გახლდათ, რომელსაც ოპტიმალური შემადგენლობიდან ორი ფეხბურთელი აკლდა — დისკვალიფიცირებული სულიკო დავითაშვილი და 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ფინეთმოვლილი გიორგი ელბაქიძე.



დინამოელი გიორგი მამნიაშვილი (№2) და ამერელი ალეკო კაიდარაშვილი ჰაერშიც შეხვდნენ

მთელი შეხვედრის განმავლობაში მეტი მომენტი „ამერმა" შექმნა, თუმცა მეტი გოლი „დინამომ" გაიტანა. მაგალითად, მე-17 წუთზე გიორგი სილაგავამ ძელს გაარტყა ბურთი. მე-19-ზე დავით სევასტოპულოს გასწვრივ პასს ჯერ თემურ სამსიანმა ვერ მიჰკრა ფეხი, შემდეგ კი ალეკო კაიდარაშვილმა დაარტყა, მაგრამ მცველმა ხაზიდან გამოიტანა; 27-ზე „ამერმა" გოლი შეაგდო — კაიდარაშვილმა მოედნის სიღრმიდან ლონივრად წაილო ბურთი და სევასტოპულოს გადასცა, რომელმაც კარგად გააჩერა, გაისწორა და ზუსტად დაარტყა. 51-ე წუთზე სევასტოპულომ ქუსლით, ეფექტურად დაუტოვა სამსიანს, რომელმაც მეკარის არემარეში ჩააწოდა, სადაც კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ ფეხი მიჰკრა და ძელს გაარტყა, შემდეგ დავითნიძე შევიდა მეკარესთან პირისპირ, გოლიც შეაგდო, მაგრამ მსაჯმა მცველთან ორთაბრძოლისთვის დააჯარიმა; 64-ზე კაიდარაშვილის ჩაწოდების შემდეგ ისევ დავითნიძეს შეეძლო გატანა და ისევ )ელს მოახვედრა, 65-ზე სამსიანს მეკარე გიორგი კობახიძემ აული ლამაზი ნახტომით; 83-ზე სილაგავას ჩაწოდებულზე გიორგი დეკანოსიძემ გაუჩერებლად დაარტყა და ისევ მეკარე კობახიძეს აჩვენებინა თავისი რეაქცია; კუთხურიდან ჩაწოდებულს დავითნიძემ თავი შეაგება და ისევ კობახიძის ბრწყინვალე თამაშს წააწყდა 90-ზე კი სევასტოპულომ გაიტანა, მაგრამ მსაჯებმა, ოფსაიდი იყოო...

ახლა „დინამოს" აქტივი ვნახოთ: მე-10 წუთზე მწვავე შეტევა; მე-40-ზე ლამაზი გოლი — ლევან ხმალაძის ჩაწოდება და უმეთვალყურეოდ დარჩენილი ვლადიმერ დვალიშვილის თავური; 66-ზე მეორე გოლი — კახა მახარაძე „ამერის" საჯარიმოს წინ ტრიალებს, რათა ბურთი ფეხზე მოირგოს, ირგებს და წარმატებით არტყამს; მსაჯის წამატებულ წუთებზე გიორგი ნავალოვსკი მცველებს უსხლტება და მეკარესთან კუთხით შესულს კინაღამ მესამე გოლი გააქვს.

ამრიგად, ეს შეხვედრა განეკუთვნებოდა იმ კლასიკური შინაარსის მატჩებს, სადაც ერთი გუნდი მეტ მომენტს ჰქმნის, ხოლო მეორეს თამაშის მოსაგებად ნაკლები მომენტიც ჰყოფნის. რა არის ეს, გამარჯვებულის ნიჭი, კლასი, იღბალი თუ სამივე ერთად, ვერ გეტყვით, თუმცა სამუშაო და დასაფიქრებელი ორივე მხარეს რომ არ აკლია, ამ დღეს ნათლად გამოჩნდა. ვფიქრობთ, მოთამაშეთა უმრავლესობის ასაკიდან გამომდინარე ეს სამუშაო სასიამოვნოც უნდა იყოს, ხოლო რა ან ვინ შეამჩნია ალენ ჟირესმა, უცნობია.

**ივერია 1:0 კახეთი**

**სპარტაკი 1:0 ლოკომოტივი 2**

**ჩიხურა 1:0 ოლიმპი**

**რუსთავი 3:1 გურია**

**საგარეჯო 2:5 ბორჯომი**

**მაღაროელი — ცხინვალი**

დღეს

**ვიტ ჯორჯია — მერანი**

ხვალ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 7 | 6 | 0 | 1 | 20:9 | 18 |
| სპარტაკი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:4 | 14 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 13:3 | 13 |
| ამერი | 6 | 4 | 0 | 2 | 18:3 | 12 |
| დინამო 2 | 7 | 4 | 0 | 3 | 15:13 | 12 |
| კახეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:13 | 12 |
| მერანი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:7 | 9 |
| ივერია | 6 | 2 | 3 | 1 | 4:5 | 9 |
| ცხინვალი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:11 | 8 |
| ჩიხურა | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| გურია | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | 8 |
| რუსთავი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| ოლიმპი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:10 | 5 |
| ლოკომოტივი 2 | 7 | 1 | 2 | 4 | 3:16 | 5 |
| საგარეჯო | 7 | 1 | 1 | 5 | 5:20 | 4 |
| მაღაროელი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:10 | 2 |

# იმედაძე შერიფმა გააჩერა
## ოთხ ქართველში ერთი გიაც ხომ უნდა



სიმფეროპოლის „ტავრიამ" ქართველი თავდამსხმელი გია იმედაძე ტრანსფერზე რომ დააყენა, ადრეც გაუწყეთ. ახლა კი გაირკვა, რომ იმედაძემ სასურველ კლუბს უკვე მიაგნო — ქართველებისთვის „ტავრიაზე" არანაკლებ კარგად ნაცნობ მოლდოვურ „შერიფს".

რამდენიმე დღეა, იმედაძე „შერიფში" ვარჯიშობს და თუკი იქაურებს თავი მოაწონა, კონტრაქტსაც გააფორმებს.

არადა, 24 წლის ქართველ თავდამსხმელს „ტავრიაში" საქმეები თავიდან კარგად მისდიოდა — ძირითადშიც თამაშობდა და გოლებით ხშირად გაჰქონდა. თუმც რატომღაც ასე დიდხანს არ გაგრძელებულა — ამ სეზონისწინა მოსამზადებელზე ჩვენებურმა მოპოვებული ადგილი დაკარგა და სათადარიგოდ იქცა. კლუბის ხელმძღვანელობამაც მასთან გაყრა გადაწყვიტა.

მაშინ ითქვა, იმედაძე უკრაინაშივე გააგრძელებს კარიერასო, მაგრამ უეცრად „შერიფის" ვარიანტი გამოჩნდა და ფეხბურთელსაც ბევრი არ უყოყმანია. მით უმეტეს, მოლდოვის მრავალგზის ჩემპიონ გუნდში აქამდეც არაერთ ქართველს უთამაშია, დღეს კი სამი ჩვენებური ირიცხება — კაპიტანი და ლიდერი ვაჟა თარხნიშვილი, მურთაზ ბურნაძე და რომან გოგინაშვილი.

როგორც გავიგეთ, იმედაძის საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს.

**გია ამირანაშვილი**
**ქუთაისიდან**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე



# ტრაპიზონმა თურქეთი დააფრთხო

**თურქეთი**

ჯერ კიდევ საქართველოს ნაკრებთან მატჩამდე თურქული გაზეთების მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ თურქეთ-საქართველოს შეხვედრა ტრაპიზონში არ უნდა გაიმართოსო. მიზეზი კი ასეთი გახლდათ: ქართველები ტრაპიზონში თავს შინაურულად გრძნობენო. ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ ოსმალოთა ნაკრების თავკაცმა ერსუნ იანალმა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევენტ ბიჩაქჩიმ გადაწყვიტეს, რომ თურქებმა დარჩენილი საშინაო თამაშები სტამბოლში, „ფენერბაჰჩეს" სტადიონ „შუქრუ სარაჯოღლუზე" გამართონ. ტრაპიზონში შენოლ გიუნეშს და ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ ჰალუკ ულუსოის ეთაყვანებიან. ახალი მწვრთნელი იანალი და ლევენტ ბიჩაქჩი კი გულზე არ ეხატებათ. ჩვენი მეზობლები 9 ოქტომბერს ყაზახეთს სტამბოლში უმასპინძლებენ. ერსუნ იანალი სავარაუდოდ არ გამოიძახებს ჰაკან შუქურს. მის ნაცვლად ალბათ „ანკარასფორის" ფეხბურთელი ნეჯატი ათეშს უხმობს. ოსმალოთა თავკაცი ნაკრების შემადგენლობას დღეს, 2 ოქტომბერს დაასახელებს.

**რომან თურქია**

# გახსოვდეს ლიცენზია

*ცნობილი ამბავია — მომავალი სეზონიდან უეფა კლუბების ლიცენზირებას ითხოვს. აქამდე საქართველოში ამის აუცილებლობა არ იყო და ერთი-ორი გამონაკლისის გარდა თავი არავის შეუწუხებია, ახლა კი...*

*ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა უკვე დაამტკიცა კლუბების ლიცენზირების სისტემის 2004-05 წლების სტრუქტურა, საშტატო განრიგი, სამუშაო-კალენდარული გეგმა და ბიუჯეტი.*

*ლიცენზირების კომიტეტში ლიცენზირებაზე 14 კლუბის თანხმობა შემოვიდა. მათგან 10 უმაღლესლიგელია, ხოლო 4 პირველლიგელი.*

*ოქტომბრიდან კი დაიწყება კლუბების წარმომადგენლების სწავლება საბუღალტრო და კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ურუგვაელები
## როგორ მომენატრეთ, ბიჭო!

**ირაკლი გამყრელიძე**




ამ სტადიონის ცქერა უკვე ძალიან უხერხულია. სიმახინჯეა ასეთი გარემო, როცა მოედანზე და ტრიბუნებზე ამგვარი რამ ხდება. როცა გოგოები ცეკვავენ სკამებს შორის და როცა ეს ოხერი, თალხი საბჭოთა სამოსი აღარ გვაცვია, როცა ბოლომდე გვიხარია. ძალიან უხერხულია, როცა ვისაც უნდა, გარეთ რჩება, შესვენებაზე გასული კი ვეღარ ბრუნდება, პოლიციელთა ჩვენთვის გაურკვეველი სიფრთხილის გამო.

უხერხულია, იმიტომ, რომ გუნდი გვყავს და მის ქომაგობას ვაპირებთ და ვაგრძელებთ. ასეთი სტადიონი უხერხულია. რა თქმა უნდა, გმირობა ყველგან შეიძლება მოხდეს, მაგრამ ეს სპორტია და გარემო უნდა და არა საბჭოთა ყაზარმის ხედი. დაჯდომა არ გვინდა, დავდგებით, თუ შემოგვიშვებენ, მაგრამ უეფა ბრაზობსო და იმის გაბრაზებ არ გვინდა, რადგან, როგორც იქნა მივუკაკუნეთ კარზე რაღაცას და შევაღეთ კიდეც. ეს არ არის დიდი კარი, იმ ოთახშიც, როგორც თამადას, ისე არ მიგვიღებენ, მაგრამ ხომ შევედით და წყენითაც არავის სწყენია.

დავდგებით. რა სალაპარაკოა... ამდენი ხნის ნალოდინარი, ამდენი ხნის აგვისტოში წამხდარი იქა ვართ ზამთრის პირამდე. ევროპის ფეხბურთში ვართ. დავდგებით... ეს არის, რომ ჩვენთვის საჭირო მაისურა, ქუდი და შარფი შემოგვაშველონ დახლებზე... რაღაცა ბავშვურ, ცოტათი სულელურ რამეებს ვამბობ, მაგრამ ისე მოგვნატრებია ეს ყველაფერი. მე პირადად ისე მომნატრებია, რომ ამ წერილის დალაგებას და აზრთა გამართვას აღარ ვაპირებ. შევუბერავ ასევე. მომნატრებია და რა ვქნა... მაგალითად, ნემსოს ასეთი თამაში და კაპიტნობა მომნატრებია. ისიც მომნატრებია, რომ კარში ახალბედა მდგარიყო და გაეძლო, როგორც შეეძლო და არ შეეძლო ისე. ჯაბა კანკავას ნაირი გაუჩერებელი და გაუტეხელი მომნატრებია. ყველანი ესენი. რას ჩამოთვლი? ფოტოს დახედე, გაცინებული ბიჭები თქვენც ხომ მოგენატრათ? ერთად რომ ვიცინით ყველა, ხშირად ყოფილა?

წინ ხომ უფრო ძნელი და ძნელი იქნება, მთავარი კი მაინც ეს იყო, რომ რაღაცა გადავლახეთ. აწი: გამოცდილების მოგროვება, ღირსეულად თამაში, მადაში ჭამის მოსვლა და ასეთი რამეები. არცერთი ნაბიჯი უკან. „დინამო" ამას ეჩვევა, ნამდვილ ფეხბურთში შედის. კარგად შედის, მე თუ მკითხავთ: ათასი ხარვეზით, არეული მწყობრით, ადგილ-ადგილ მორღვეული რიგით, მაგრამ თამაშით. მთავარი ხომ თამაშია. თამაშით უნდა შეხვიდე. ეს ვისლა რით გვჯობდა? ათასი რამით. ჩვენ რით ვჯობდით? თამაშით. უცებ დავიჭერდი ხოლმე თავს ამ თამაშის ცქერისას, რომ ისინი ასე ვერასოდეს ჩამოიღებენ ბურთს, ასე სახელდახელოდ, გზადაგზა ვერ მოიგონებენ რაღაცას და ასე ვერ ჩაავლებენ ხელს კურაჟს. თორემ, აბა, მეორმოცე წუთამდე რა იყო? მაგრამ ჩაავლეს ჩვენებმა და ამან ივარგა. იმათ მეტი შეეძლოთ, ჩვენ მეტი მოვახერხეთ. ეს ის ამბავია, ბოლომდე რომ ხარ თამაშში და იქ კი იმ ბოლო და ყველაზე ღრმა ადგილას შენს ოსტატობას აღარ აქვს მნიშვნელობა: ისეთ ნამდვილ რამეში ხარ, რომ ათასი სხვა რამ გეხმარება, რასაც ფეხბურთისთვის სხვა დროს ეგებ არც ჰქონოდა მნიშვნელობა.

ეს თამაშიც ეგ იყო.

ოღონდაც, სირცხვილია ასეთი სტადიონი. უკვე ძალიან სირცხვილია. სხვა ხალხი ვხდებით თანდათან.

ადრე „დინამოს" პატარა ურუგვაელებს ეძახდნენ. კარგი სახელია. ზოგისგან გამიგონია, დიდ ურუგვაელებსო. ნამეტანია. უფრო სარწმუნო ხალხისგან პატარა ურუგვაელების მჯერა. ეს ხუთშაბათის თამაშიც, ეს ოხერი და ლამაზი, რატომღაც ძველს და ძალიან მაგარს მახსენებს, პატარა ურუგვაელებს, მაგალითად, ფეხზე ბურთის მიბმის და სილაღის ამბავს. იმ დროს, როცა ბიჭები ბურთით იძინებდნენ და მინდორზე ბურთის დამალვა შეეძლოთ.

ამ გუშინწინდელ პატარა ურუგვაელებს კი დავუღრიალებ თქვენთან ერთად: როგორ მომენატრეთ, ბიჭო! მაგრამ...

# ხმა აღარა მაქვს, სიხარული მაქვს

## di_na_mo_fan@hotmail.com

სხვისი არ ვიცი და, გამარჯვების მერე ქართველებს სადღეგრძელოების თქმა გვიყვარს. ის წერილებიც, გულშემატკივრებისგან „დინამოს" „ვისლაზე" გამარჯვების მერე რომ მივიღეთ, სადღეგრძელოებს ჰგავს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ოღონდ ისიცაა, რომ ამ სადღეგრძელოებში არასასადღეგრძელო რამეებიცაა გამორეული და ესეც ძალიან კარგია — როდის იყო, საქმე მხოლოდ სადღეგრძელოთი გაკეთებულიყო.

di_na_mo_fan@hotmail.com-ი უეფას თასის ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე გემშვიდობებათ. მერე კი, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ.

TORNIKE560, ვინაც ამჟამად უკრაინაში იმყოფება, გვწერს:

— ვულოცავ მთელს საქართველოს ამ ისტორიულ გამარჯვებას! როგორც იქნა, ჩვენმა ქვეყანამაც გაიხარა. მოდით, ერთად დავჭექოთ: „დინამო"! „დინამო"! „დინამო"! ვნუხვარ, რომ ეს სიხარული თბილისში არ განვიცადე. ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია ინტერნეტში მხოლოდ ანგარიშის ყურება. ცივმა ოფლმა დამასხა, როდესაც 2:1 ვნახე და ეს თორმეტი წუთი სრული ჯოჯოხეთი იყო. მაგრამ ღირდა ნერვიულობა: „დინამო"! „დინამო"! „დინამო"! უკვე უეფას თასის მეთექვსმეტედფინალი არ მეჩვენება არარეალურად. მჯერა, რომ ამასაც მივაღწევთ: „დინამო"! „დინამო"! „დინამო"! შემოდგომის ფეხბურთი ცოცხლად დიდი სიხარულია. ასევე დიდი მადლობა გეგუჩაძეს, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთი მწვრთნელი იყო: „დინამო"! „დინამო"! „დინამო"!

ეჰ, ჩემო თორნიკე, კიდევ კარგი, რომ არ უყურებდი იმ 12 წუთს, მაგრამ შენს წერილში ყველაზე მეტად სხვა რამ მენიშნა და მომეწონა — იმედი რომ გაგიჩნდა.

ILO_2-ის წერილით კი ეგებ ფეხბურთის მოყვარულთა გარდა სხვა ხალხიც დაინტერესდეს — ისინი, დღედაღამ რომ ფიქრობენ, ფული როგორ ვიშოვოთო:

— „დინამოს" გაუმარჯოს! სტადიონზეც ვიყავი და მართალი რომ გითხრათ, ყელი ისე მტკივა, ვეღარ ვლაპარაკობ. თამაშით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ შედეგით კი. მგონი, „დინამოს" მთავარი ნაკლი დაცვაა, მაგრამ დროთა განმავლობაში ამასაც მოევლება. ისე, ერთი რამ მაინტერესებს მატჩის ორგანიზატორებისგან. 25-ე სექტორის ბილეთები რატომ დაბეჭდეს. რა, ფული გააკეთეს?! მაყურებელი სკამების მაგივრად კიბეზე იჯდა, რაც არ შეიძლება, მაგრამ „დინამოს" გაუმარჯოს. იქნებ, ჯგუფშიც გაგვახაროს. „დინამოს" გაუმარჯოს დიდ წარმატებაში, მთელი ქართველი ერი ასე რომ გაგვახარა!

დავძენ, რომ ილო ერთადერთი გულშემატკივარი არ არის, არაინდივიდუალურსკამებიან სექტორში ბილეთების გაყიდვით რომ აღშფოთდა. რამდენიმე ასეთბილეთიანმა ნაცნობმა კერძო საუბარში ამ ბილეთების დამბეჭდავ-გამსაღებელთა მისამართით ისეთი რამეები თქვა, რომ...

ბოლოს კი KARLITO BRIGANTE-ს წერილი წავიკითხოთ. ხომ გახსოვთ კარლიტო „კარლიტოს გზიდან". მისი ქართველი სეხნია გვწერს:

— ქართული ფეხბურთი ფერფლიდან აღდგა, ძალიან ბედნიერი ვარ. ასეთი სეზონი საბჭოეთის მერე ქართულ ფეხბურთს არ ჰქონია. ეს ერთი და სხვა მრავალი!

ისე, ბევრი სასიამოვნო ხდება, ვნახე ქართველი ფეხბურთელების ჯიგრიანი თამაში. ჩვენს სასარგებლოდ დანიშნული პენალტი და გაძევებული ფეხბურთელები, რაც ადრე, დამეთანხმებით, იშვიათი იყო. ყოჩაღ, ბიჭებო, მაგრები ხართ! ახლა კიდევ ჯგუფში მონაწილეობა არაა მთავარი. გასვლაზე უნდა ვიფიქროთ. მიდით, ბიჭებო, მიაწექით. ჩვენ თქვენს გვერდით ვართ!

ქართველო ფეხბურთელებო, ქართველო სპორტსმენებო, ჩვენ ყველანი თქვენს გვერდით ვართ. მოიგებთ და, გადღეგრძელებთ, თუ ჯიგრით იბრძოლებთ და ვერ მოიგებთ, განუგეშებთ, მაგრამ უჯიგრობა თუ დაეტყო ვინმეს...



## უეფას თასი 2004-2005. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები. დღეს

| | | |
|---|---|---|
| მეტალურგსი (ლატვია) | 0:4 | შალკე (გერმანია) (1:5) |
| გენჩლერი (თურქეთის) | 1:1 | ეგალეო (საბერძნეთი) (0:1) |
| შტუტგარტი (გერმანია) | 4:0 | უიპეშტი (უნგრეთი) (3:1) |
| დნიპრო (უკრაინა) | 2:0 | მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) (0:1) |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) | 5:0 | მაკაბი (ფეთაჰ თიკვა, ისრაელი) |
| ცსკა (ბულგარეთი) | 2:2 | სტიაუა (რუმინეთი) (1:2) |
| შატორუ (საფრანგეთი) | 1:2 | ბრიუგე (ბელგია) (0:4) |
| ამიკა (პოლონეთი) | 1:0 | ვენტსპილსი (ლატვია) (1:1) |
| სიგმა (ჩეხეთი) | 2:3 | სარაგოსა (ესპანეთი) (0:1) |
| დინამო (რუმინეთი) | 0:0 | პარტიზანი (სერბეთი) (1:3) |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | 1:0 | გრაცერი (ავსტრია) (0:5) |
| სტაბეკი (ნორვეგია) | 0:5 | სოშო (საფრანგეთი) (0:4) |
| ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) | 1:2 | ზენიტი (რუსეთი) (0:4) |
| ბრაგა (პორტუგალია) | 2:2 | ჰართსი (შოტლანდია) (1:3) |
| ლილი (საფრანგეთი) | 2:0 | შელბურნი (ირლანდია) (2:2) |
| ბეშიქთაში (თურქეთი) | 1:0 | ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) (1:1) |
| ჰაპოელი (ბნეი საჰნინი, ისრაელი) | 1:5 | ნიუკასლი (ინგლისი) (0:2) |
| ალემანია (გერმანია) | 0:0 | ჰაფნარფიორდური (ისლანდია) (5:1) |
| ბევერენი (ბელგია) | 1:0 | ლევსკი (ბულგარეთი) (1:1) |
| ოსერი (საფრანგეთი) | 2:0 | ოლბორგი (დანია) (1:1) |
| ალკმაარი (ჰოლანდია) | 2:1 | პაოკ (საბერძნეთი) (3:2) |
| ელფსბორგი (შვედეთი) | 0:0 | დინამო (ხორვატია) (0:2) |
| ბაზელი (შვეიცარია) | 2:0 | ტერეკი (რუსეთი) (1:1) |
| იურგორდენი (შვედეთი) | 3:0 | უტრეხტი (ჰოლანდია) (0:4) |
| მარიბორი (სლოვენია) | 0:0 | პარმა (იტალია) (2:3) |
| ბოხუმი (გერმანია) | 1:1 | სტანდარდი (ბელგია) (0:0) |
| აეკ (საბერძნეთი) | 1:0 | ნოვა გორიცა (სლოვენია) (1:1) |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 4:1 | ოდ გრენლანდი (ნორვეგია) (1:0) |
| ბანიკი (ჩეხეთი) | 1:1 | მიდლსბრო (ინგლისი) (0:3) |
| რაპიდი (ავსტრია) | 0:0 | სპორტინგი (პორტუგალია) (0:2) |
| ლეგია (პოლონეთი) | 1:3 | აუსტრია (ავსტრია) (0:1) |
| უდინეზე (იტალია) | 1:0 | პანიონიოსი (საბერძნეთი) (1:3) |
| ნასიონალი (პორტუგალია) | 1:2 | სევილია (ესპანეთი) (0:2) |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | 3:1 | მილუოლი (ინგლისი) (1:1) |
| ბენფიკა (პორტუგალია) | 2:0 | ბ. ბისტრიცა (სლოვაკეთი) (3:0) |
| ლაციო (იტალია) | 3:0 | მეტალურგი (უკრაინა) (3:0) |
| რეინჯერსი (შოტლანდია) | 1:0დ.დ. (4:2 პენ.) | მარიტიმუ (პორტუგალია) (0:1) |
| ბილბაო (ესპანეთი) | 2:0 | ტრაბზონი (თურქეთი) (2:3) |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | 3:0 | ჰამარბი (შვედეთი) (2:1) |

# ბელგრადი ცრემლში დაიხრჩო

## ფეხბურთი გაზით დასრულდა



ნიუკასლელმა პატრიკ კლუივერტმა დუბლი მიითვალა

„ცრვენა ზვეზდას“ საშინაო მარცხმა სერბული კლუბის ფანები გადარია. „ზენიტთან“ შინ წაგების შემდეგ მასპინძელი გულშემატკივრები პოლიციელებს დაერივნენ. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა, 14 მსუბუქად დაჭრილი კი საავადმყოფოში გააქანეს.

დამხვდურებმა ანგარიში მალევე გახსნეს. მარკო პანტელიჩმა თხუთმეტიოდ მეტრიდან გაუტანა მალოფეევს, რომელიც მთელი შეხვედრის განმავლობაში ყოჩაღობდა. სწრაფმა გოლმა „ცრვენა ზვეზდა“ შეაგულიანა და გულიანადაც შეუტიეს „ზენიტს“, მაგრამ რუსებმა გამართული დაცვა დაუხვედრეს. მეორე ტაიმში სტუმრებმა პენალტი მოინაგრეს: მილადინოვიჩმა არშავინი წააქცია და თერთმეტმეტრიანი საჯარიმო სპივაკმა გამოიყენა. მოგვიანებით შეცვლაზე შესულმა ზენიტელმა მაკაროვმა ივარგა. მცველს ბურთი ასწაპნა და სერბებს მეორე გაუტანა.

გლაზგოს „რეინჯერსმა“ „მარიტიმუ“ პენალტების სერიით გაიარა. „ვფიქრობ, რომ ჩვენ დამსახურებულად გავედით შემდეგ ეტაპზე“ — თქვა „ჩაფართა“ თავკაცმა ალექს მაკლიშმა. აღსანიშნავია, რომ მაკლიშის ხელქვეით „რეინჯერსმა“ ევროთასებზე 16 მატჩიდან მხოლოდ ოთხი მოიგო. მასპინძლები დადო პრსომ შეხვედრის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე დააწინაურა. რეინჯერსელებისგან პენალტები ნაჩო ნოვომ, პრსომ, ტომპსონმა და ვინალმა გაიტანეს. შოთა არველაძეს კი მარკუს ოლივეირამ აუღო. შტეფან კლოსმა ჩაინიოს დარტყმული მოიგერია, ხოლო ფერეირამ ბურთი კარის ჩარჩოს გაარტყა.



დადო პრსო და „რეინჯერსი“ „მარიტიმუს“ გადაახტნენ

გელზენკირხენის „შალკემ“ ახალ მწვრთნელს, რალფ რანგნიკის თაოსნობით პირველი შეხვედრა მოიგო. „შალკემ“ „მეტალურგსი“ შინაც გაანადგურა და სტუმრადაც არ დაინდო და ოთხი გოლი მიართვა. ანგარიში ებე სანდმა გახსნა, მერე კი მაიკ ჰანკემ ზეიმი მოიწყო და ჰეთ თრიქი შეასრულა.

„უიპეშტმა“ „შტუტგარტს“ ბუდაპეშტში კევინ კურანის დამტვრევისთვის კი მოუბოდიშა, მაგრამ ამან არ უშველა — მათიას ზამერის შეგირდებმა უნგრელებს გადაურბინეს. ბრაზილიელმა კაკაუმ დუბლი შეასრულა, ხოლო თითოთითო გოლი ჰინკელმა და ჰელდტმა მიითვალეს.

თურქულ-ბერძნულ დაპირისპირებაში ელინებმა იმარჯვეს. „ეგალეომ“ ანკარაში „გენჩლერბირლიგთან“ ფრე გაახერხა და ჯგუფში გაძვრა. სტუმრები თურქული გვარის ბერძენმა გეორგიოს ბარკოღლუმ დააწინაურა, მაგრამ მისმა თანაგუნდელმა გიუნტერ ფრიესენბიხლერმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ფრანგულ „სოშოს“ „სტაბეკთან“ ვარჯიში გამოუვიდა. შინ 4:0 სძლია, სტუმრად კი 5:0-ით დაასაჩუქრა.

შოტლანდიურ „ჰართსს“ დროზე გამოუჯანმრთელდა ფორვარდი მარკ დე ვრისი, რომელმაც „ბრაგასთან“ პირველი შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა. „ჰართსმა“ საშინაო მატჩი 3:1 მოიგო და პორტუგალიაში მეორე ტაიმში დე ვრისის დუბლით იგებდა. მასპინძელმა ჟაიმე აკინიომ ბოლოსლა შეძლო გათანაბრება.

საუცხოო ფორმაშია „ლილი“, საფრანგეთის ჩემპიონატშიც ლაღობს და უეფას თასზეც კარგად თამაშობს. ირლანდიურ „შელბურნს“ თითო გოლი მილენკო აჩიმოვიჩმა და მეტ მუსილუმ გაუტანეს.

„ბეშიქთაშის“ თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე გათავისუფლებას გადაურჩა. იბრაჰიმ უზულმუზმა პირველი ტაიმის მიწურულს დააწინაურა „ბეშიქთაში“ და ულვაშას გუნდმა „ბოდო გლიმტიც“ კინკილა გოლით დაამარცხა.

პაოკის ახალი მწვრთნელი როლფ ფლინგერი „ალკმაართან“ მატჩის მეცხრე წუთზე ხარობდა, რაკი დიმიტრიოს სალპინგიდისმა ბერძნები დააწინაურა, მაგრამ ფლინგერის სიხარული უმალ განელდა — მიქაელ ბუსკერმოლუნმა წუთის შემდეგ გაათანაბრა, ხოლო იორის მატიოსენმა მეორე ტაიმში „ალკმაარს“ გამარჯვების გოლი შეუგდო.

მეორებუნდესლიგელმა „ალემანიამ“ ირლანდიაში „ჰაფნარფიორდურს“ 5:1 აჯობა, თუმცა საპასუხო შეხვედრაში გერმანელები უგოლო ფრეს დასჯერდნენ და ასე აღმოჩნდა ქვედალიგელი გუნდი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე.

შვედურ „იურგორდენს“ ერთი გოლი დააკლდა საიმისოდ, რომ „უტრეხტთან“ მატჩი დამატებით დროში გადაეყვანა. ჰოლანდიელები 81-ე წუთისთვის 0:3 აგებდნენ, შვედები კი მათ საჯარიმოში დასახლდნენ, მაგრამ მეტოქის კარისკენ ბურთს გზა მეოთხედ ველარ გაუგნებინეს.

გროზნოს „ტერეკმა“ „ბაზელი“ სტუმრადაც გააწვალა. ხულიო ერნან როსიმ შვეიცარიელები პირველი ტაიმში დააწინაურა და მეორე გოლის გატანა მასპინძლებმა მხოლოდ 89-ე წუთზე შეძლეს.

რუუდ გულიტის „ფეიენოორდმა“ „ოდდ გრენლანდი“ დაახურდავა. მასპინძელთა ოთხს ნორვეგიელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს.

ლიეჟის „სტანდარდი“ გერმანიაში „ბოხუმთან“ ბოლო წუთზე გატანილი გოლით გაძვრა. ანგარიში მარსელ მალტრიცმა პირველი ტაიმის დასასრულს გახსნა, ხოლო ხორხე კურბელომ თამაშის მიწურულს იხსნა სტანდარდელები.

„ნიუკასლმა“ ისრაელის არაბულ უბანში გაისეირნა. პატრიკ კლუივერტმა წყვილი გოლი მიითვალა, ალან შირერმა კი ჰეთ თრიქი გაიფორმა.

„მიდლსბროს“ ჩეხეთში „ბანიკთან“ კაცი მაშინ გაუძევეს, როცა სტუმრები 0:1-ს აგებდნენ. მიუხედავად ამისა, ინგლისელებმა ჩეხეთის ჩემპიონს მეტი აღარ გაატანინეს, თავად კი ჯეიმს მორისონის წყალობით გაათანაბრეს.

„უდინეზემ“ „პანიონისთან“ ის მოახერხა, რომ მარეკ იანკულოვსკი მეორე ტაიმში გააძევეს და კაცნაკლულმა იტალიელებმა მაურიოს გოლით მაინც მოიგეს, მაგრამ ეს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# მეთოფეთა ჩხუბი

## ვიეირა და ლორენი ტრონჰეიმის პოლიციამ გააშველა





საკვირველია, მაგრამ ნორვეგიულ პოლიციას მოუხდა „არსენალის“ ერთმანეთთან მოჩხუბარ ფეხბურთელთა გაშველება ტრონჰეიმში, იქაურ „რუსენბორგთან“ ფრედ (1:1) ნათამაშევი მატჩის შემდეგ.

სტადიონიდან გამავალ საკლუბო ავტობუსში ერთმანეთს დაეტაკნენ გუნდის კაპიტანი პატრიკ ვიეირა და მცველი ლორენი. ისინი მანამდე ვერ დაწყნარდნენ, სანამ ავტობუსში ორი პოლიციელი არ ავიდა. ვიეირა და ლორენი მოედანზე წაკინკლავდნენ მას შემდეგ, რაც „რუსენბორგმა“ საჰაერო გოლი გაიტანა და ეს გოლი ვიეირამ ლორენს დააბრალა, სტრანდი უნდა შეგეჩერებინაო.

საბოლოო ჩხუბი კი ავტობუსში ატყდა, რომლის წინაც „არსენალის“ ფეხბურთელები ინტერვიუებს იძლეოდნენ. პოლიციელებთან ერთად ფეხბურთელებიც შუაში ჩადგნენ და მოჩხუბრები ცალ-ცალკე დასხეს.

ამბობენ, არსენ ვენგერი ორივეს დასჯისო.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ინგლისური პრემულობა



მილუოლელი ფანები საქმოო შეიქნენ

ლონდონის „მილუოლმა“ 1:3 წააგო უნგრეთში „ფერენცვაროშთან“ და უეფას თასის გათამაშებას გამოეთიშა. ასეთი იყო ინგლისის I დივიზიონის კლუბის გაელვება ევროთასებზე. „მილოული“ განთქმულია გიჟმაჟი გულშემატკივრებით და ბუდაპეშტშიც ხელ-ფეხის ქნევას არავინ მორიდებია: ჩხუბებში დაშავდა მილუოლელი ფანი, აქედან ორი სერიოზულად. ქალაქის ცენტრში კი კიდევ რამდენიმე მილუოელი დააკავეს იმ 3 ათასიანი დესანტიდან უნგრეთის დედაქალაქში რომ გადასხეს „ლურჯმა ლომებმა“.

პოლიციას ცრემლსადენი გაზიც კი გამოუყენებია.

არეულობა ყოფილა ჩეხეთშიც, ოსტრავაში სადაც „ბანიკი“ „მიდლსბროს“ მასპინძლობდა. „ბორო“ ორი მატჩის ჯამში ჯგუფურ წრეში გავიდა, მაგრამ ტრიბუნებზე შეჯახებები მოხდა. ჩეხებმა სულ 900 ბილეთი გამოუყვეს ინგლისელებს, მაგრამ ოსტრავაში ლამის მთელი მიდლსბრო ჩავიდა და შავ ბაზარზე ლამის 5 მილიონი გირვანქის ბილეთები შეიძინა, რამაც ის გამოიწვია, რომ ტრიბუნებზე ჩეხები და ინგლისელები ერთმანეთს შეერიენ და საქმე მანამდე არ ჩაწყნარდა, სანამ სტადიონზე 100 კაციანი სპეცრაზმი არ შევიდა. ამ დროს ფეხბურთელები უკვე მინდორზე იყვნენ.

**ირაკლი გამყრელიძე**

# რუნიმ საცოლე ნიუ იორკში, ძმა კი მანჩესტერში გაუშვა



რუნის საცოლეს ამერიკაში თითები გაუსინჯეს

უეინ რუნიმ „ფენერბაჰჩესთან“ შესრულებული ჰეთ თრიქით გაიხარა და საცოლე კოლინ მაკლაფლენს ათი ათასი გირვანქა აჩუქა — მაღაზიებში გაიარე და რაც მოგეწონება, იყიდეო. კოლინმა მანჩესტერისა კი არა ნიუ იორკის მაღაზიებში გავლა ისურვა და ოკეანის გაღმა გაეშურა. ამერიკაში საბაჟო კონტროლი გამკაცრდა, რის გამოც რუნის ტურფას თითების ანაბეჭდებიც აუღეს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ რუნისა და მაკლაფენის სიყვარული გაიბზარა, რადგან საქმრო მეძავებთან სტუმრობაში ამხილეს. კოლინმა უეინს სილაც გააწნა და გაექცა, მაგრამ მერე მოლბა, თან სილაგალაწუნებულს მოუბოდიშა. ჯილდოდ კი აგერ, ათი ათასი გირვანქა მიიღო.

კიდევ ერთი ამბავი: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ევერტონის“ საფეხბურთო სკოლიდან უეინ რუნის ძმა, ჯონ რუნი წაიყვანა. 13 წლის უმცროსი რუნი შემტევი ნახევარმცველია და ჯერჯერობით ბავშვთა გუნდშია, თუმც რამდენიმე წლის შემდეგ უფროს ძმასავით თუ გაიბრწყინა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში უეინ და ჯონი ერთად ითამაშებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**





ელტონ ჯონი ბრუკლინ ბექემს ქონებას დაუტოვებს

# ნათლიის მემკვიდრე

რეჯინალდ დუაიტმა ანუ ელტონ ჯონმა გადაწყვიტა, რომ თავისი ქონების (175 მილიონი გირვანქა) ნაწილი ნათლულებს უანდერძოს. ელტონ ჯონი დევიდ ბექემის შვილის, ბრუკლინის ნათლიაცაა და მას საკმაოდ მსუყე თანხა შეხვდება. თავად 57 წლის ჰომოსექსუალისტი მომღერალი საკუთარი სისხლისა და ხორცის გამრავლებას არ აპირებს. „მე და დევიდ ფერნიშს (ელტონ ჯონის ბოიფრენდია) ათი ბავშვი გვყავს ერთად მონათლული და გვსურს, რომ მათ ჩვენი ქონებიდან რაღაც ვარგუნოთ“ — თქვა მომღერალმა, რომელიც ჯონ ლენონის ვაჟის, შონ ლენონის ნათლიაც გახლავთ. ამჟამად კი ბექების შვილს, ბრუკლინს, პიანინოზე დაკვრას ასწავლის.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან

**ფრანგი** თავდამსხმელის ნიკოლა ანელკას ძმამ, კლოდმა, სამწვრთნელო კარიერა დაიწყო. ამ უკანასკნელს შოტლანდიის I დივიზიონის კლუბი „რეით როვერსი“ ჩააბარეს. კლოდ ანელკას პროგრამა-მინიმუმი გუნდის ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. მას ადრე ლონდონურ „ჩელსიში“ ნამუშევარი ჯონ კოლინელი დაეხმარება. თავად ნიკოლა ანელკა ძმის არჩევანით კმაყოფილია და წარმატებას უსურვებს.

**ესპანური** „რეალის“ ახალწვეული ჯონათან ვუდგეიტი ტრავმას ნელ-ნელა იშუშებს. ფეხბურთელი დარბაზში, მოედანსა და აუზში ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. მადრიდელი ექიმები უკვე დანამდვილებით ამბობენ, რომ ინგლისელ მცველს 16 ოქტომბერს პრიმერადივიზიონის მე-7 ტურში „ბეტისის“ წინააღმდეგ თამაში შეეძლება. შეგახსენებთ, რომ ვუდგეიტს აპრილის მერე არ უთამაშია.

**უკრაინული** „შახტარის“ ბულგარელმა მცველმა პრედრაგ პაჟინმა დონეცკურ კლუბს შესაძლოა ფიფაში უჩივლოს. პაჟინის მტკიცებით, მას ვარჯიშებზე არ უშვებენ და გუნდიდან გაგდებას უპირებენ. „ეს არის უსაფუძვლო და უაზრო ლაპარაკი. მან თავად არ იცის, რა უნდა. ცოტა ხნის წინ გვთხოვა, ერთ-ერთ აზიურ კლუბში გაგვეშვა გასასინჯად და ჩვენც წინააღმდეგობა არ გავუწიეთ. შემდეგ დაბრუნდა და ისევ სადღაც გაქრა. ახლა კი ვარჯიშებს თავად აცდენს და ბრალს აქეთ გვდებს“ — აღნიშნა „შახტარის“ სპორტულმა დირექტორმა ვიქტორ პროკოპენკომ.

**რუსული** ცსკა-ს ხორვატი ფორვარდი ივიცა ოლიჩი სავარაუდოდ ორი კვირა ვერ ითამაშებს. ფეხბურთელი პსჟ-სთან ჩემპიონთა ლიგის მატჩში დაშავდა, როდესაც თანაგუნდელს ქუსლით უკეთებდა გადაცემას. ექიმები ზუსტ დიაგნოზს მას შემდეგ დასვამენ, როცა ოლიჩს საფუძვლიან გამოკვლევას ჩაუტარებენ.

**პოლონეთის** ნაკრებისა და „ლევერკუზენის“ მცველი რადოსლავ კალუჟნი შესაძლოა „ნისლიან ალბიონზე“ გადაბარგდეს. 30 წლის ფეხბურთელი ორი კვირა „ნოტინგემთან“ ერთად ივარჯიშებს და თუ მწვრთნელს მოეწონა, იანვარში მხარეები კონტრაქტს გააფორმებენ. კალუჟნიმ გერმანიის დატოვება გადაწყვიტა, რადგანაც კლაუს აუგენტალერთან უთანხმოების გამო ფაქტობრივად ველარ ხვდება „ფარმაცევტთა“ ძირითად შემადგენლობაში.

**ესპანური** „ბარსელონას“ ყოფილმა ფეხბურთელმა და დონეცკის „შახტარის“ ექსთავკაცმა, გერმანელმა ბერნდ შუსტერმა ჩემპიონთა ლიგაში ამ კლუბების მატჩზე თავისი მოსაზრება გამოთქვა: „შახტარი“ საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და შეეძლო, „კამპ ნოუზე“ არ წაეგო. „ყველაფერი თერთმეტმეტრიანმა გააფუჭა, რომელიც ტერიე ჰაუგემ უსამართლოდ დანიშნა დონეცკელთა კარში. საერთოდაც, მთელი შეხვედრის მანძილზე ნორვეგიელი მსაჯი კატალონიელებს ემხრობოდა, თუმც მთლიანობაში „ბარსას“ მოგება ლოგიკური იყო“ — თქვა შუსტერმა.

**ინგლისურ** „ჩარლტონს“ იანვარში პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფორვარდის, ჯეიმს ბიტის შეძენა გადაუწყვეტია. „ჩვენ ბიტის ყიდვას ვაპირებთ და მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. ამის გაკეთება აგვისტოშიც გვსურდა და ჯეიმსთან მოლაპარკებასაც ვაწარმოებდით, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე შეთანხმების გაფორმება ველარ მოვასწარით“ — განაცხადა ლონდონელთა თავკაცმა ალან კერბიშლიმ. შეგახსენებთ, რომ „საუთჰემპტონის“ თავდამსხმელის გადაბირება „ასტონ ვილასაც“ სურდა, მაგრამ ბირმინგემელებს „წმინდანებმა“ ორჯერ შეუთვალეს უარი.

**ფრანგი** ვეტერანი მარსელ დესაი ფეხბურთს უბრუნდება. იგი ჰარი რედნაპის თხოვნით გასაჭირში მყოფ „პორტსმუთს“ დაეხმარება. ინგლისურ კლუბს დაცვაში ისედაც სერიოზული პრობლემები ჰქონდა, ცოტა ხნის წინ კი მძიმედ დაშავდა გუნდის წამყვანი მცველი არიან დე ზეუვი. „ბევრი წინადადება მქონდა — ტელევიზიაში მუშაობა, განის ნაკრების თავკაცობა, ბიზნესის წამოწყება და კიდევ ბევრი რამ, მაგრამ ყველაფერს მინდორზე დაბრუნება ვარჩიე“ — თქვა დესაიმ.

## იტალია

პაპუნა კალია

# ლუიჯი და შავ-ლურჯი

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კალიარი | : | ბრეშა |
| კიევო | : | ლეჩე |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | : | ლაციო |
| მესინა | : | სიენა |
| მილანი | : | რეჯინა |
| პალერმო | : | ბოლონია |
| პარმა | : | ფიორენტინა |
| რომა | : | ინტერი |
| სამპდორია | : | ლივორნო |
| უდინეზე | : | იუვენტუსი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| ლეჩე | 4 | 2 | 2 | 0 | 11:6 | 8 |
| მესინა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ინტერი | 4 | 1 | 3 | 0 | 8:7 | 6 |
| კიევო | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| რეჯინა | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| პალერმო | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| კალიარი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ბოლონია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| უდინეზე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:2 | 5 |
| რომა | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| სიენა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ფიორენტინა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| სამპდორია | 4 | 1 | 0 | 3 | 3,6 | 3 |
| ბრეშა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| ლივორნო | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | 2 |
| ატალანტა | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| პარმა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |

| 19.30 | 544 | იარო-ინტერი | 3.0 | 3.8 | 1.8 | 1.67 | 1.12 | 1.22 |
| 19.30 | 545 | ჰკ-როვანიემი | 1.40 | 4.0 | 6.0 | 1.03 | 1.13 | 2.4 |
| 19.30 | 546 | მიუპა-ტამპერე | 3.4 | 3.5 | 1.8 | 1.72 | 1.17 | 1.18 |
| 19.30 | 547 | ტურკუ-ლაჰტი | 1.9 | 3.1 | 3.7 | 1.17 | 1.25 | 1.68 |

ურუგვაი. აპერტურა

2 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 595 | დეფენსორი-პენიაროლი | 2.7 | 3.25 | 2.2 | 1.47 | 1.21 | 1.31 |
| 22.30 | 596 | ფენიქსი-სერიტო | 2.2 | 3.2 | 2.75 | 1.3 | 1.22 | 1.47 |
| 22.30 | 597 | ლივერპული-ნასიონალი | 3.4 | 3.2 | 1.9 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 22.30 | 599 | რენტისტასი-უონდერერსი | 2.6 | 3.2 | 2.3 | 1.43 | 1.22 | 1.33 |

იაპონია. ჯეი ლიგა

2 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 09.00 | 553 | გამბა-სერეძო | 1.55 | 3.5 | 4.8 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| 10.00 | 554 | ნაგოია-ტოკიო | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |
| 10.00 | 555 | ნიიგატა-ოიტა | 2.0 | 3.0 | 3.4 | 1.2 | 1.25 | 1.59 |
| 10.00 | 556 | ვერდი-კობე | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 11.00 | 557 | იჩიჰარა-ურავა | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 14.00 | 558 | ივატა-შიმიცუ | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 10.00 | 559 | იოკოჰამა-კაშივა | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 10.00 | 560 | კაშიმა-ჰიროსიმა | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |

არგენტინა

აპერტურა

2 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 573 | ალმაგრო-ინსტიტუტო | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 22.30 | 574 | არსენალი-რასინგი | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 22.30 | 575 | ბოკა ხუნიორსი-ურაკანი | 1.2 | 5.25 | 10.2 | 1.0 | 1.07 | 3.46 |
| 22.30 | 576 | ხიმნასია-როსარიო | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 22.30 | 577 | ინდეპენდიენტე-ველესი | 2.1 | 3.05 | 3.0 | 1.24 | 1.23 | 1.51 |
| 22.30 | 578 | ლანუსი-არგენტინოს ხუნიორსი | 1.55 | 3.6 | 5.3 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 22.30 | 580 | ოლიმპო-კოლონი | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 22.30 | 581 | კილმესი-რივერ პლეიტი | 3.0 | 3.1 | 2.1 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 22.30 | 582 | სან ლორენსო-ბანფილდი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |

ჰოკეი. შვედეთი

2 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 970 | ბრიუნესი-ჰვ 71 | 2.25 | 4.2 | 1.95 | 1.46 | 1.04 | 1.33 |
| 17.00 | 971 | ფერიესტადი-მოდო | 1.95 | 4.2 | 2.25 | 1.33 | 1.04 | 1.46 |
| 17.00 | 972 | სოდერტელიე-ოერგორდენი | 2.2 | 4.2 | 2.0 | 1.44 | 1.04 | 1.35 |
| 17.00 | 973 | ტიმრა-ლულეო | 1.7 | 4.4 | 2.6 | 1.22 | 1.02 | 1.63 |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 18.00 | 974 | ფროლუნდა-ლინჩოპინგი | 1.7 | 4.4 | 2.6 | 1.22 | 1.02 | 1.63 |

ბრაზილია

სერია A

2 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 975 | ვასკო და გამა-[illegible] | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 23.00 | 976 | ფლუმინენსე-ბოტაფოგო | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 23.00 | 977 | სან კაეტანო-გოიასი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 23.00 | 978 | ფიგეირენსე-ფლამენგო | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 23.00 | 979 | სან პაულუ-პალმეირასი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 23.00 | 980 | ატლეტიკო პრ-ატლეტიკო მგ | 1.35 | 4.5 | 6.8 | 1.03 | 1.12 | 2.7 |
| 24.00 | 981 | ვიტორია-პაისანდუ | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 01.00 | 982 | გუარანი-სანტოსი | 3.5 | 3.3 | 1.9 | 1.69 | 1.23 | 1.2 |
| 01.00 | 983 | კრუზეირო-პონტე პრეტა | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 03.30 | 984 | გრემიო-კრიციუმა | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 03.30 | 985 | პარანა-კურიტიბა | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 03.30 | 986 | კორინთიანსი-ჟუვენტუდე | 1.8 | 3.2 | 4.1 | 1.15 | 1.25 | 1.79 |

კალათბურთი

იტალია

3 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 1200 | აველინო-სიენა | 3.0 | 12.0 | 1.2 | 2.4 | 1.0 | 1.09 |
| 20.15 | 1201 | ავრორა-მილანი | 2.0 | 12.0 | 1.2 | 1.71 | 1.0 | 1.09 |
| 20.15 | 1202 | ბენეტონი-ნაპოლი | 1.3 | 12.0 | 2.7 | 1.17 | 1.0 | 2.2 |
| 20.15 | 1203 | ბიპოპი-როზეტო | 1.45 | 12.0 | 2.3 | 1.29 | 1.0 | 1.93 |
| 20.15 | 1204 | კანტუ-ბოლონია | 2.1 | 12.0 | 1.5 | 1.78 | 1.0 | 1.33 |
| 20.15 | 1205 | ლივორნო-სკავოლინი | 2.1 | 12.0 | 1.5 | 1.78 | 1.0 | 1.33 |
| 20.15 | 1206 | კალაბრია-ბიელა | 1.5 | 12.0 | 2.1 | 1.33 | 1.0 | 1.78 |
| 20.15 | 1207 | რომა-უდინე | 1.3 | 12.0 | 2.7 | 1.17 | 1.0 | 2.2 |
| 20.15 | 1208 | ტერამო-ვარეზე | 2.0 | 12.0 | 1.6 | 1.71 | 1.0 | 1.41 |

კალათბურთი. ესპანეთი

2 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 1209 | ალიკანტე-გრანადა | 1.6 | 12.0 | 2.1 | 1.41 | 1.0 | 1.78 |
| 20.00 | 1210 | ბარსელონა-ბრეოგანი | 1.1 | 12.0 | 4.0 | 1.0 | 1.0 | 3.0 |
| 20.00 | 1211 | ბილბაო-ტაუ | 3.2 | 12.0 | 1.2 | 2.52 | 1.0 | 1.09 |
| 20.00 | 1212 | სან ფერნანდო-უნიკახა | 2.2 | 12.0 | 1.55 | 1.85 | 1.0 | 1.37 |
| 20.00 | 1213 | ხირონა-ვალიადოლიდი | 1.6 | 12.0 | 2.0 | 1.41 | 1.0 | 1.71 |
| 20.00 | 1214 | ლეიდა-ხუვენტუდი | 1.9 | 12.0 | 1.7 | 1.64 | 1.0 | 1.48 |
| 20.00 | 1215 | მანრესა-ტენერიფე | 1.6 | 12.0 | 2.0 | 1.41 | 1.0 | 1.71 |
| 20.00 | 1216 | ვალენსია-აუნაკაბლე | 1.25 | 12.0 | 2.9 | 1.13 | 1.0 | 2.33 |
| 20.00 | 1217 | რეალი-ესტუდიანტესი | 1.25 | 12.0 | 2.9 | 1.13 | 1.0 | 2.33 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5417 | საუთჰემპტონი-სიტი | 1,8 | 2,0 |
| 5418 | არსენალი-ჩარლტონი | 1,2 | 4,0 |
| 5419 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1,85 | 1,95 |
| 5420 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1,8 | 2,0 |
| 5421 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 1,85 | 1,95 |
| 5422 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 1,9 | 1,9 |
| 5423 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,3 | 3,4 |
| 5424 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1,9 | 1,9 |
| 5425 | ჩელსი-ლივერპული | 1,6 | 2,4 |
| 5426 | კრისტალ პალასი-ფულემი | 1,9 | 1,9 |
| 5428 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,4 | 3,0 |
| 5429 | ვოლფსბურგი-გლადბახი | 1,55 | 2,5 |
| 5430 | ჰანზა-ჰანოვერი | 1,75 | 2,1 |
| 5431 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,8 | 2,0 |
| 5432 | ფრაიბურგი-მაინცი | 1,7 | 2,2 |
| 5433 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,4 | 3,0 |
| 5434 | ვერდერი-ბაიერნი | 1,9 | 1,9 |
| 5435 | არმინია-შტუტგარტი | 2,1 | 1,75 |
| 5436 | შალკე-ბოხუმი | 1,65 | 2,3 |
| 5441 | კალიარი-ბრეშა | 1,65 | 2,3 |
| 5442 | კიევო-ლეჩე | 1,75 | 2,1 |
| 5443 | ატალანტა-ლაციო | 2,0 | 1,8 |
| 5444 | მესინა-სიენა | 1,65 | 2,3 |
| 5445 | მილანი-რეჯინა | 1,1 | 5,0 |
| 5446 | პალერმო-ბოლონია | 1,6 | 2,4 |
| 5447 | პარმა-ფიორენტინა | 1,8 | 2,0 |
| 5448 | სამპდორია-ლივორნო | 1,45 | 2,8 |
| 5449 | უდინეზე-იუვენტუსი | 2,2 | 1,7 |
| 5450 | რომა-ინტერი | 1,9 | 1,9 |
| 5451 | ბეტისი-ვალენსია | 2,1 | 1,75 |
| 5452 | ხოსიედადი-ატლეტიკო | 1,9 | 1,9 |
| 5453 | ალბასეტე-ესპანიოლი | 1,9 | 1,9 |
| 5454 | ხეტაფე-ბილბაო | 1,9 | 1,9 |
| 5455 | ლევანტე-მალიორკა | 1,8 | 2,0 |
| 5456 | მალაგა-ოსასუნა | 1,8 | 2,0 |
| 5457 | რასინგი-სევილია | 1,9 | 1,9 |
| 5458 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1,8 | 2,0 |
| 5459 | ბარსელონა-ნუმანსია | 1,1 | 5,0 |
| 5460 | რეალი-დეპორტივო | 1,45 | 2,8 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5117 | საუთჰემპტონი-სიტი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10.0 | 4.4 |
| 5118 | არსენალი-ჩარლტონი | 1,5 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17.0 |
| 5119 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4.4 |
| 5120 | ევერტონი-ტოტენჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5121 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5122 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5123 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5124 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5125 | ჩელსი-ლივერპული | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5126 | კრისტალ პალასი-ფულემი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5128 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5129 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5130 | ჰანსა-ჰანოვერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5131 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5132 | ფრაიბურგი-მაინცი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5133 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5134 | ვერდერი-ბაიერნი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5135 | არმინია-შტუტგარტი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5136 | შალკე-ბოხუმი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5141 | კალიარი-ბრეშა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5142 | კიევო-ლეჩე | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5143 | ატალანტა-ლაციო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5144 | მესინა-სიენა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5145 | მილანი-რეჯინა | 1,5 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5146 | პალერმო-ბოლონია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5147 | პარმა-ფიორენტინა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,2 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5148 | სამპდორია-ლივორნო | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5149 | უდინეზე-იუვენტუსი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5150 | რომა-ინტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5151 | ბეტისი-ვალენსია | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5152 | ხოსიედადი-ატლეტიკო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5153 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5154 | ხეტაფე-ბილბაო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5155 | ლევანტე-მალიორკა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5156 | მალაგა-ოსასუნა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5157 | რასინგი-სევილია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5158 | ვილიარეალი-სარაგოსა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5159 | ბარსელონა-ნუმანსია | 1,45 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 18,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5160 | რეალი-დეპორტივო | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5017 | საუთჰემპტონი-სიტი | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5018 | არსენალი-ჩარლტონი | 1,45 | 2,8 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,07 |
| 5019 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5020 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2,7 | 2,0 | 3,6 | 1,14 | 1,54 | 1,28 |
| 5021 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5022 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 3,2 | 2,0 | 3,1 | 1,23 | 1,57 | 1,21 |
| 5023 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,65 | 3,5 | 6,5 | 1,12 | 1,31 | 2,27 |
| 5024 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5025 | ჩელსი-ლივერპული | 2,2 | 2,1 | 4,8 | 1,07 | 1,5 | 1,46 |
| 5026 | კრისტალ პალასი-ფულემი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5028 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,85 | 2,25 | 6,0 | 1,01 | 1,41 | 1,63 |
| 5029 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 2,1 | 2,15 | 5,0 | 1,06 | 1,47 | 1,5 |
| 5030 | ჰანზა-ჰანოვერი | 2,45 | 2,05 | 4,0 | 1,11 | 1,51 | 1,35 |
| 5031 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 2,5 | 2,05 | 3,8 | 1,12 | 1,5 | 1,33 |
| 5032 | ფრაიბურგი-მაინცი | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5033 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,85 | 2,25 | 6,0 | 1,01 | 1,41 | 1,63 |
| 5034 | ვერდერი-ბაიერნი | 3,0 | 2,05 | 3,2 | 1,21 | 1,54 | 1,24 |
| 5035 | არმინია-შტუტგარტი | 4,0 | 2,05 | 2,45 | 1,35 | 1,51 | 1,11 |
| 5036 | შალკე-ბოხუმი | 2,25 | 2,1 | 4,6 | 1,08 | 1,51 | 1,44 |
| 5041 | კალიარი-ბრეშა | 2,3 | 2,0 | 4,8 | 1,06 | 1,55 | 1,41 |
| 5042 | კიევო-ლეჩე | 2,5 | 2,0 | 4,0 | 1,11 | 1,53 | 1,33 |
| 5043 | ატალანტა-ლაციო | 3,5 | 2,0 | 2,8 | 1,27 | 1,55 | 1,16 |
| 5044 | მესინა-სიენა | 2,25 | 2,0 | 5,0 | 1,05 | 1,55 | 1,42 |
| 5045 | მილანი-რეჯინა | 1,4 | 2,8 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,07 |
| 5046 | პალერმო-ბოლონია | 2,25 | 2,05 | 4,8 | 1,07 | 1,53 | 1,43 |
| 5047 | პარმა-ფიორენტინა | 2,6 | 2,0 | 3,8 | 1,13 | 1,54 | 1,31 |
| 5048 | სამპდორია-ლივორნო | 1,9 | 2,2 | 5,6 | 1,01 | 1,41 | 1,57 |
| 5049 | უდინეზე-იუვენტუსი | 4,8 | 2,0 | 2,3 | 1,41 | 1,55 | 1,06 |
| 5050 | რომა-ინტერი | 3,1 | 2,0 | 3,2 | 1,21 | 1,57 | 1,23 |
| 5051 | ბეტისი-ვალენსია | 4,2 | 2,0 | 2,45 | 1,35 | 1,54 | 1.1 |
| 5052 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3,1 | 2,0 | 3,2 | 1,21 | 1,57 | 1,23 |
| 5053 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,1 | 2,0 | 3,2 | 1,21 | 1,57 | 1,23 |
| 5054 | ხეტაფე-ბილბაო | 3,2 | 2,0 | 3,1 | 1,23 | 1,57 | 1,21 |
| 5055 | ლევანტე-მალიორკა | 2,5 | 2,0 | 4,0 | 1,11 | 1,53 | 1,33 |
| 5056 | მალაგა-ოსასუნა | 2,6 | 2,0 | 4,8 | 1,13 | 1,68 | 1,41 |
| 5057 | რასინგი-სევილია | 3,1 | 2,0 | 3,2 | 1,21 | 1,57 | 1,23 |
| 5058 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2,5 | 2,0 | 4,0 | 1,11 | 1,53 | 1,33 |
| 5059 | ბარსელონა-ნუმანსია | 1,35 | 3,1 | 8.5 | 1 | 1,16 | 2,27 |
| 5060 | რეალი-დეპორტივო | 1,85 | 2,25 | 6,0 | 1,01 | 1,41 | 1,63 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5517 | საუთჰემპტონი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | არსენალი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ევერტონი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | ჩელსი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | კრისტალ პალასი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ჰანზა-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | ფრაიბურგი-მაინცი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | ვერდერი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | არმინია-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | შალკე-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | კალიარი-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | კიევო-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | ატალანტა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | მესინა-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | მილანი-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | პალერმო-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | პარმა-ფიორენტინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | სამპდორია-ლივორნო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | უდინეზე-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | რომა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | ბეტისი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5552 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5553 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5554 | ხეტაფე-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5555 | ლევანტე-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5556 | მალაგა-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5557 | რასინგი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5558 | ვილიარეალი-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5559 | ბარსელონა-ნუმანსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5560 | რეალი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5317 | საუთჰემპტონი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 5318 | არსენალი-ჩარლტონი | 1,85 | 1,75 |
| 5319 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5320 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5321 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 5322 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5323 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 5324 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5325 | ჩელსი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5326 | კრისტალ პალასი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5328 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5329 | ვოლფსბურგი-გლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 5330 | ჰანზა-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 5331 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 5332 | ფრაიბურგი-მაინცი | 1,65 | 1,95 |
| 5333 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,7 | 1,9 |
| 5334 | ვერდერი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 5335 | არმინია-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5336 | შალკე-ბოხუმი | 1,6 | 2,0 |
| 5341 | კალიარი-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5342 | კიევო-ლეჩე | 1,6 | 2,0 |
| 5343 | ატალანტა-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5344 | მესინა-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 5345 | მილანი-რეჯინა | 1,9 | 1,7 |
| 5346 | პალერმო-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5347 | პარმა-ფიორენტინა | 1,65 | 1,95 |
| 5348 | სამპდორია-ლივორნო | 1,7 | 1,9 |
| 5349 | უდინეზე-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5350 | რომა-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 5351 | ბეტისი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5352 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5353 | ალბასეტე-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5354 | ხეტაფე-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5355 | ლევანტე-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5356 | მალაგა-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5357 | რასინგი-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5358 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5359 | ბარსელონა-ნუმანსია | 1,9 | 1,7 |
| 5360 | რეალი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5217 | საუთჰემპტონი-სიტი | 1.75 | 1,85 |
| 5218 | არსენალი-ჩარლტონი | 2,0 | 1,6 |
| 5219 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5220 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5221 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 5222 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5223 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,95 | 1,65 |
| 5224 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1,75 | 1,85 |
| 5225 | ჩელსი-ლივერპული | 1,8 | 1,8 |
| 5226 | კრისტალ პალასი-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 5228 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2,1 | 1,55 |
| 5229 | ვოლფსბურგი-გლადბახი | 2,1 | 1,55 |
| 5230 | ჰანზა-ჰანოვერი | 1,95 | 1,65 |
| 5231 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 5232 | ფრაიბურგი-მაინცი | 1,9 | 1,7 |
| 5233 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 2,1 | 1,55 |
| 5234 | ვერდერი-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |
| 5235 | არმინია-შტუტგარტი | 1,85 | 1,75 |
| 5236 | შალკე-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 5241 | კალიარი-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5242 | კიევო-ლეჩე | 1,95 | 1,65 |
| 5243 | ატალანტა-ლაციო | 1,7 | 1,9 |
| 5244 | მესინა-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 5245 | მილანი-რეჯინა | 1,95 | 1,65 |
| 5246 | პალერმო-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5247 | პარმა-ფიორენტინა | 1,7 | 1,9 |
| 5248 | სამპდორია-ლივორნო | 1,75 | 1,85 |
| 5249 | უდინეზე-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5250 | რომა-ინტერი | 2,0 | 1,6 |
| 5251 | ბეტისი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 5252 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |
| 5253 | ალბასეტე-ესპანიოლი | 1,75 | 1,85 |
| 5254 | ხეტაფე-ბილბაო | 1,75 | 1,85 |
| 5255 | ლევანტე-მალიორკა | 1,8 | 1,8 |
| 5256 | მალაგა-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| 5257 | რასინგი-სევილია | 1,75 | 1,85 |
| 5258 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1,7 | 1,9 |
| 5259 | ბარსელონა-ნუმანსია | 2,2 | 1,5 |
| 5260 | რეალი-დეპორტივო | 1,95 | 1,65 |

# მარად მეორე დიდი ბავშვი

## სამშობლო რუბენს ბარიკელოს ელის

FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

*კვირას ჩინეთის საფორმულო დიდი პრიზის გათამაშებაში გამარჯვებულმა რუბენს ბარიკელომ სეზონის გასრულებამდე ორი ეტაპით ადრე გაინაღდა ვიცეჩემპიონობა. ისე, საამისოდ შანხაიში მოგება არც იყო აუცილებელი — მეხუთე ადგილიც იკმარებდა, მაგრამ ტრიუმფით მიზნის მიღწევას, ცხადია, სულ სხვა გემო აქვს. ამიტომაც იქცეოდა 32 წლის ბრაზილიელი პოდიუმზე ბავშვივით — იმ სიმაღლიდან ყველას კოცნას უგზავნიდა და გაუთავებლად ხელებს იქნევდა, ბრაზილია-იტალიის ჰიმნების დროსაც ვერ დაწყნარდა*




იტალიურსისხლიანი რუბინიო ემოციური (ზოგჯერ ზედმეტადაც) პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია მილიონობით მაყურებლის თვალწინ აცრემლება. როგორც მრბოლს, მას სხვადასხვანაირად აფასებენ: ზოგი თანამედროვე ფორმულა 1-ის ლამის ყველაზე სწრაფ მძღოლად თვლის, ზოგიც ენამწარობს შეცდომებზე, რაც ნამდვილად არ აკლია. მაგრამ იშვიათი შემთხვევაა, რომ უკლებლივ ყველა დიდ სიმპათიას იჩენს ამ ადამიანის მიმართ, რომელსაც არ სურს და არც შეუძლია თავისი გრძნობების დამალვა. ყველას მოსწონს მისი უშუალობა, გულღიაობა.

ერთი სიტყვით, ბარიკელო პოპულარულია! არა მხოლოდ თავის მშობლიურ ბრაზილიაში და არა მხოლოდ იმიტომ, რომ წითელი სუპერბოლიდის საჭეს უზის.

რუბენს გონსალვეშ ბარიკელო დაიბადა 1972 წლის 23 მაისს სან პაულუში. უიშვიათესი დამთხვევაა, რომ მამამისი რუბენსიც სწორედ იმ თვესა და რიცხვში მოევლინა ქვეყანას. უფროსი რუბენსი, მიუხედავად იმისა, რომ სამუთაქე ქონება არ მოეპოვებოდა, ყოველმხრივ უწყობდა ხელს შვილის ავტოგატაცებას, რისთვისაც ოჯახის მანქანაც კი გაყიდა.

ჯერ იყო ყველასთვის აუცილებელი საკარტინგო „სკოლა". რუბინიო ხუთჯერ გახდა ბრაზილიის ჩემპიონი, 16 წლისა უკვე ფორმულა-ფორდის" მანქანით დაქროდა, ერთი წლის შემდეგ კი ევროპაში ჩამოვიდა: „როცა ბრაზილიაში კარტით გამოვდიოდი, უკვე ვიცოდი, რომ კარგი მძღოლი ვარ. ბევრს ვიგებდი და ლოგიკურად მეჩვენებოდა ევროპაში წასვლა, რათა საოცნებო ფორმულა 1-ში მეცადა ბედი. არასოდეს მისწავლია უნივერსიტეტში, რადგან სამშობლოდან ადრეულ ასაკში წამოვედი. ისე, სკოლაში მიზიდავდა ფიზიკა, მაინტერესებდა, რა ხდებოდა ჩემს კარტში."

### სამეფო რბოლები

ბებერ კონტინენტზე წარმატებით მოასპარეზე ჭაბუკ სამხრეთამერიკელს მაშინვე დაადგეს თვალი მეფორმულე ბოსებმა. ბარიკელოს კარიერა ადრეულ ასაკში დაიწყო ედი ჯორდანის გუნდში. 1993 წლის 14 მარტს სამხრეთ აფრიკაში დებიუტისას იგი 20 წლის და 10 თვის იყო. მასზე უმცროსს მხოლოდ რვა პილოტს შეუღია 55-წლიან ისტორიაში „სამეფო რბოლების" კარი.

ახალბედამ სუსტძალოვან საჯინიბოში ბევრს ვერაფერს მიაღწია — პირველ სეზონში ორადორი ქულა და მე-17 ადგილი. თანაც სწორედ იმხანად შეემთხვა კარიერაში ყველაზე საშინელი ავარია: 1994 წლის 29 აპრილს იტალიაში, იმოლას ავტოდრომზე ოფიციალური ვარჯიშისას 270 კმ/სთ სიჩქარეზე „ჯორდანი" ტრასიდან გაფრინდა, ბარიერს მიხეთქებული ამოყირავდა და ნაწილებად დაიშალა. მომხდარი კოშმარული კი ჩანდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ფატალურად არ დასრულებულა. რუბენსი სასწაულებრივად გადარჩა, თუმც ცხვირი, ნეკნები და მარჯვენა ხელი დაუშავდა და გონდაკარგული ბოლონიის კლინიკაში გააქანეს.

ლეგენდარული აირტონ სენა, რომელიც მას თავის მემკვიდრედ თვლიდა, გვერდიდან არ მოშორებია და მაშინღა დატოვა საავადმყოფო, როცა დარწმუნდა, რომ უმცროსი მეგობრის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ორი დღის შემდეგ კი აირტონი იმავე ტრასაზე რბოლისას დაიღუპა.

მომდევნო წლებში ბარიკელოს შედეგები ოდნავ გაუმჯობესდა, სამაგიეროდ, ედის კოლექტივში შიდა ურთიერთობა დაიძაბა:

„ჯორდანში ჩემი. საქმე სულ უკან-უკან მიდიოდა. ედი ირვინთან ქიშპობა დავიწყე იმის ნაცვლად, რომ საკუთარი თავიც და გუნდიც უკეთ ამემუშავებინა. ყოველ ნაბიჯზე მსურდა, ვინმესთვის რამე დამემტკიცებინა. ეს კოშმარი იყო, ვითარების შესაცვლელად სასწრაფოდ რაიმე უნდა მეღონა. ასეც მოვიქეცი — აღარავის ვუგორებდი კოჭს, მეგობრებს იშვიათად ვხვდებოდი, შევიცვალე მენეჯერი და უფრო მეტს ვლოცულობდი."

ამდენი მცდელობის მიუხედავად, მდგომარეობა ვერ გამოსწორდა, ისიც დაემატა, რომ ირვინმა გზაზე გადაურბინა და 1996 წელს „ფერარიში" დაიკავა ადგილი, რომელსაც ყველა ნიჭიერ ბრაზილიელს უწინასწარმეტყველებდა. რუბენსმა ერთი წლის მერე მაინც დატოვა „ჯორდანი", ოღონდ „სტიუარტში" გადაჯდა. იქაც ბევრი ვერაფერი მოიმკა — სამ სეზონში საუკეთესო შედეგი საბოლოო მეშვიდე ადგილი ჰქონდა.

### წითლების ბანაკში

ბარიკელო საფორმულო მიდგომით მეორედ დაიბადა 2000 წელს, როცა ბოლოს და ბოლოს „ფერარიში" აღმოჩნდა მოხსნილი ირვინის სანაცვლოდ. იგი დღემდე ერთადერთი ბრაზილიელია, ვისაც წითელი ბოლიდით ურბოლია. კი იცოდა, რომ „მიხაელის გუნდში" მისი დამხმარის როლი უნდა ეტვირთა, მაგრამ კონტრაქტის ხელმოწერისას მეცხრე ცაზე იყო, თანაც წლიური ხუთ მილიონდოლარიანი ჯამაგირით:

„ფერარიში მრბოლობაზე მას შემდეგ ვოცნებობდი, როცა სან პაულუს „ინტერლაგუშზე" ალისფერი მანქანები პირველად ვნახე. ასე რომ, როცა მიმიწვიეს, არც დავფიქრებულვარ. ჩემთვის ეს უდიდესი [illegible] იყო. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, ფსიქოლოგიურად როგორ გამიჭირდებოდა, როცა კონტრაქტის თანახმად, ბოქსებიდან ბრძანებას უნდა დავმორჩილებოდი და შუმახერი წინ გამეშვა. ძალიან ძნელია, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს კონტრაქტში გარკვევით გვიწერია — ის მრბოლი, რომელსაც ნაკლები ქულები აქვს და შესაბამისად ნაკლები საჩემპიონო შანსი, ეხმარება მეორეს, უფრო მეტი ქულებისა და შანსის მქონეს."

და მაინც, 2001 წელს ავსტრიაში პრაქტიკულად უკვე მოგებული რბოლის მიხაელისთვის დათმობის შემდეგ რუბენსი პრესკონფერენციაზე კიბოსავით წითელი იჯდა, ხოლო იმავე საღამოს იგი „მაკლარენის" ბოს რონ დენისთან მოსაუბრე ნახეს. იმ მომენტში მზად იყო, „მაკების" მანქანით ლამის უხელფასოდ ერბოლა.

ამბობენ, დრო მკურნალიაო, თანაც ეს უკვე ძველი ამბავია. უმთავრესი ისაა, რომ ბარიკელომ სწორედ წითელი მანქანით თავისი პირველი დიდი პრიზიც მოიგო და ორჯერ (2002, 2004) მთელ დუნიაზე მეორე მძღოლიც გახდა. 2000 წლის 30 ივლისი რუბინიოსთვის დაუვიწყარი თარიღია. იმ დღეს იგი პირველად შედგა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე, თანაც მიხაელის მშობლიურ ჰოკენჰაიმში. ეს დიდებული გამარჯვება იყო — ბარიკელომ რბოლა თითქმის ბოლოდან, მე-18 პოზიციიდან დაიწყო, ხოლო დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ უკვე მესამე იყო, მერე კი, როცა კოკისპირულად გაწვიმდა, გარისკა, საბურავები არ შეუცვლია და ჯოჯოხეთურ პირობებში ყველაზე ადრე მიიჭრა ფინიშთან. ამ რბოლის ვიდეოჩანაწერს რუბენსი ისე ხშირად უყურებს, რომ ფირი გაცვდა და რამდენჯერმე ხელახლა გადაწერა მოუხდა.

„ძალიან მიყვარს ისევ და ისევ ამ რბოლის ნახვა, ბოლოს კი ყოველთვის ვტირი."

ის ტრიუმფი, ისევე როგორც 1994 წელს მოგებული პირველი კვალიფიკაცია, რუბენსმა თავის კერპ სენას უძღვნა:

„ეს გამარჯვება მინდა მივუძღვნა აირტონს, რომელიც ახლა სადღაც მაღლაა და ვისთვისაც მე ყოველდღე ვლოცულობ. მან ჩემი ცხოვრება გადაატრიალა 1984 წელს, როცა ტრასაზე პირველად ვნახე და სწორედ მაშინ გადავწყვიტე მრბოლი გავმხდარიყავი."

რუბენს ბარიკელო უბედნიერესი კაცია. ჰყავს ხუთი წლით უმცროსი სათნო მეუღლე სილვანა, რომელიც ასევე სან პაულუდანაა და რომელსაც ბავშვობიდან იცნობს და უკვე სამი წლის ვაჟიშვილი ედუარდო. რუბინიოს შვილზე მზე და მთვარე ამოსდის, ყველაფერს ვილონებ, რომ ჩემი ედუარდო მთელს დედამიწაზე უბედნიერესი ბავშვი იყოსო.

რაც შეეხება საფორმულო მიზნებს, ბარიკელოს ორი ოცნება აქვს — სან პაულუში მშობლიური ეტაპის მოგება და მსოფლიოს ჩემპიონობა. პირველის ასრულებას ბევრი არაფერი უდგას წინ — ბრაზილიის დიდი პრიზი 24 ოქტომბერს გათამაშდება, მეორეზე კი რა მოგახსენოთ, შუმახერი ხომ ორი წელი კიდევ აპირებს ჯირითს.

**გია ახალაძე**


ერთი წლის რუბინიო


1994 წლის იმოლური კოშმარი


რუბენსის გულისერთა სილვანა



# ეს ბიჭი ჩვენთვის გვინდა

## ალექსანდრე დოხტურიშვილი:

## მე მინდა, სხვებმაც მოინდომონ და...

*„მამლუქობას" რა ვუთხარით, თორემ... უცხოელი ქართველი ტრიუმფატორებიდან ერთ-ერთი, უზბეკეთის სახელით მოასპარეზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ალექსანდრე დოხტურიშვილი (74კგ) ამჟამად საქართველოშია და სამშობლოს სახელით ჭიდაობა სწადია.*

*24 წლის დოხტურიშვილი სართიჭალაში გაზრდილი ბიჭია, დებიუტშივე რიხიანი კარიერა აინყო, 2001 წელს ევროპაში იჩემპიონა და სანამ ბადრი ხასაია გამოჩნდებოდა, თავის წონაში მოცილე არ ჰყავდა. მომდევნო წელს ხასაიამ მსოფლიოს საუკეთესო ფალავნის სახელი დაიგდო, ალეკო კი ჩრდილში ყოფნას არ შეეგუა, ძილშიც ოლიმპიადაზე ფიქრობდა და გზაც იპოვა. საქართველოში თითქოსდა ჩამოწერილმა მოჭიდავემ ათენში ფურორი მოახდინა და კვარცხლბეკზე ასვლისას ჭრელაჭრულა უზბეკური ჩალმაც მოირგო.*

*ამ დღეებში დოხტურიშვილი მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. საქართველოს პრეზიდენტის კურსი ცნობილია — გადახვეწილი სპორტსმენები უნდა დაბრუნდნენ და თავიანთი ჯანი და ენერგია სამშობლოს მოახმარონ. ალეკოც ყაბულსაა...*

— წასვლის წინა წელს ევროპის ჩემპიონატი მოვიგე, მანამდეც საქართველოს პირველობაზე მარცხის სიმწარე არ ვიცოდი, თუმც მერე, რთული პერიოდი დამიდგა. მივხვდი, რომ მეორე ვიყავი და ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი არ მექნებოდა. გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ მიმიღია. აქ ყველა გავაფრთხილე, ნაწყენი არავინ დამიტოვებია, შემდეგ კი ჩემს უზბეკ მეგობარ ყურბანოვს დავურეკე, ჩამოვდივარ-მეთქი.

— ანუ უზბეკეთის ჭიდაობის ფედერაციასთან შეთანხმებული არ იყავი და ნაკრებში მოხვედრის გარანტია არ მიგილია?

— არა, შეპირებით არავინ არაფერს შემპირებია. ასე ვთქვათ, ბედის საძიებლად წავედი. თუ გავამართლებდი, ხომ კარგი, თუ არადა, უკან უნდა ჩამოვსულიყავი.

— ლიცენზიის მოპოვება თავიდანვე ვერ შესძელი. შენს წონაში კონკურენცია დაგხვდა?

— არც ისე. ვგრძნობდი, ვერავინ მჯობდა და უფრო მომეცა იმედი. ერთი იქაური მეცილებოდა ოლიმპიადის საგზურს, მაგრამ აზიის თასზე გამარჯვების შემდეგ ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ გადაწყდა. ლიცენზიის აღება კი ტრავმის გამო დამიგვიანდა, თუმც წლის დასაწყისში მაინც იოლად მოვახერხე: ტურნირზე ხუთეულში უნდა მოვხვედრილიყავი და მეორეზე გავედი.

— უზბეკებმა როგორ მიგიღეს, უცხოობა ხომ არ გაგრძნობინეს?

— არა, ეგ პრობლემა არ ყოფილა. იქ ზაზა შანაიასთან ვცხოვრობდი. კიდევ რამდენიმე იქაურ ქართველს ვიცნობდი. თავად უზბეკებიც თბილი, მხიარული ხალხია.

— როგორც ვიცით, ათენში თითქმის სულ ქართველებთან ერთად ატარებდი დროს...

— რა თქმა უნდა, თანაც უზბეკეთის ნაკრებიდან მხოლოდ ორი „ბერძენ-რომაელი" ვიყავით. საერთოდაც, უზბეკი სპორტსმენები მხოლოდ ათენში გავიცანი.

— ჩვენების გამოსვლებს უყურებდი?

— სად მქონდა დრო... ჩემს პარალელურად აკაკი ჩაჩუასა და რამაზ ნოზაძეს უწევდათ ჭიდაობა, წინა დღეს კი აწონვები გვქონდა. მერე, როდესაც უკვე ჩემპიონი გავხდი, „თავისუფლების" გამოსვლას ვუყურე და ძალიან მეწყინა მათი წაგება.

— შენ პირველმა მოუტანე უზბეკებს ოქრო და, ბუნებრივია, განსაკუთრებულად დაგაფასებდნენ...

— მოგვიანებით თავისუფალი სტილით მოჭიდავე არტურ ტაიმაზოვმაც გაახარათ, მაგრამ თავადაც თქვეს, პირველი ტრიუმფი მაინც სხვა იყოო. უზბეკეთში ქუჩაში ველარ გავდიოდი, ყველა მცნობდა, მოკლედ არ მასვენებდნენ.

— ორიოდე სიტყვით შენს ბრძოლებზეც ვთქვათ... ყველაზე მეტად ვისთან გაგიჭირდა?

— პირველივე შეხვედრაში უნგრელმა მოჭიდავემ მანერვიულა. ამის მერე მაინცდამაინც არავისთან გამჭირვებია, რუს სამურგაშევსაც კი არ მივეცი შანსი.

— თავიდან თუ ელოდი ჩემპიონობას?

— დარწმუნებულიც კი ვიყავი.

— და მაინც, ეგ ოქროს მედალი საქართველოს სახელით რომ მოგეპოვებინა, ალბათ უფრო მეტად გაგიხარდებოდა...

— თავისთავად, სულ სხვა გრძნობა იქნებოდა, მაგრამ რას იზამ...

— საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაბრუნებაზე გესაუბრა და კარგ პირობებსაც შეგპირდა. ვიცით, შენც თანახმა ხარ...

— რომ არ მოგატყუოთ, აქ ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრების მოსანახულებლად ჩამოვედი. შემთხვევით საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი შემხვდა და ჩემი დაბრუნების საკითხს შეეხო. პრეზიდენტთანაც მქონდა საუბარი და ჩემი პირობებიც წამოვაყენე...

— კერძოდ?

— განსაკუთრებული არაფერი, დეტალებზე არაფერი მითქვამს. მე ყოველთვის მინდოდა საქართველოს სახელით ჭიდაობა. აქედან წასვლისას ვთქვი, დავბრუნდები-მეთქი, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი არ არის, ქართული სპორტის მესვეურებმა უნდა იმუშაონ.

— ისიც ცხადია, რომ მსგავსი საკითხი ერთ-ორ საათში არ წყდება. უზბეკებმა თუ იციან შენი სურვილის შესახებ?

— არა, მათთან ამ თემაზე არასოდეს მილაპარაკია. თუმც როდესაც გაიგებენ, ნაღდად არ ესიამოვნებათ...

— ალალად თქვი, გული ხომ არ გეთანაღრება უზბეკეთიდან წამოსვლაზე?..

— რასაკვირველია, არც უმაგისობაა. მხარში ამომიდგნენ და ცუდად ნამდვილად ვერ დავშორდები, მაგრამ ჩემი მეგობრები, ნათესავები საქართველოში ცხოვრობენ...

**ილია ნანობაშვილი**



# მოსეშვილი ბოინგში ზის

## რაც კარგებია, თბილავიამშენშია

**ამას წინათ** „დინამოს" პრესსამსახურმა ომახიანად გამოაცხადა, კაპიტანი ირაკლი ხოშტარია გუნდში რჩებაო. დრაჟენ ბრაიკოვიჩის სეკვესტრირებული გუნდი ყველა ხეირიანმა მოთამაშემ დატოვა და საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელის შენარჩუნება მართლაც გასახარი იქნებოდა დინამოელთათვის, მაგრამ...

„დინამოში" რამდენიმე დღეა, აღარ ვვარჯიშობ. მე ეს გუნდი საბოლოოდ დავტოვე. ყოველ შემთხვევაში, ამ სეზონში იქ არ ვითამაშებ" — გვითხრა გუშინ ირაკლი ხოშტარიამ.

„ხოშტარას" მომავალი გუნდის ვინაობა თითქმის გარკვეულია, მაგრამ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია და არ სურს, თავი „თბილავიამშენის" წევრად ჩათვალოს. იგი უკვე ვარჯიშობს ლევან მოსეშვილის ჩამოყალიბების პროცესში მყოფ გუნდში და ხელშეკრულების გაფორმებამდეც ხელმძღვანელობასთან მცირე დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი.

მოსეშვილს მხოლოდ ხოშტარიას შემატება არ სურს. „თბილავიამშენში" დღეს ძირითადად საქართველოს ჩემპიონატის წამყვანი მოთამაშეები ვარჯიშობენ და ხვალზეგ მათთან კონტრაქტის გაფორმებით ლევან მოსეშვილი იდეაში მყოფ გუნდს ხორცს შეასხამს.

მაშ ასე, „თბილავიამშენში" ეს კალათბურთელები ვარჯიშობენ: ირაკლი ხოშტარია, დავით თორთლაძე, ამროსი ორმოცაძე, გიორგი ნიკოლაძე, გოჩა წოწელია, მამუკა ბოლქვაძე, თორნიკე ნინიაშვილი, ლევან მოსეშვილი უმცროსი, დავით ბერძენიშვილი და მათთან ერთად კახა შენგელიაც.

შენგელიაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ყველამ იცოდა, თითქოს ის „სტუ-ჯეოსელის" წევრი იყო. შენგელია ტექნიკოსებს სირიაშიც ახლდა და იქიდან მობრუნებული მოულოდნელად „თბილავიამშენში" აღმოჩნდა.

„სტუ-სთან" ურთიერთობა გუშინ გავარკვიე, ყველაფერი მოგვარებულია და ამ სეზონს „თბილავიამშენში" გავატარებ — გვითხრა გუშინ შენგელიამ — არც „სტუ-ჯეოსელია" ცუდი გუნდი, მაგრამ იყო მიზეზები, რისთვისაც „თბილავიამშენში" თამაშზე დავთანხმდი."

ვთქვით, ბერძენიშვილიც მოსეშვილთან ვარჯიშობსო, მაგრამ ცალი ფეხით ის უკვე ევროპაშია და ვაიდა, ჩაეშალოს ტრანსფერი, ავიატორებთან იბევებს ადგილს.

დანარჩენების გაავიატორება თითქმის გადაწყვეტილია, თორთლაძემ ჩვენთან საუბარში თავი მოსეშვილის გუნდის წევრად ჩათვალა და ასე გააკეთა გიორგი ნიკოლაძემაც. მხოლოდ ერთ მოთამაშეს აქვს სატრანსფერო პრობლემა — თორნიკე ნინიაშვილმა „მაკაბისთან" ერთი თვის წინ გააფორმა კონტრაქტი და ჯამლედ ხუხაშვილიც არ თმობს ახალგაზრდა თავდამსხმელს. თუმც თორნიკე უკვე კარგა ხანია, ავიატორებთანაა და მისი საკითხიც მალე გაირკვევა.

მოკლედ, „ავიამშენის" სახით ეროვნულს დაღვინებული გუნდი შეემატება, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

## ფეხბურთი

### ინგლისი

II ლიგა. XI ტური

ბრიმსბი 1:1 ჩელტენემი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. VII ტური

ალენი 2:0 დუისბურგი

ესენი 4:4 აინტრახტი

უნტერჰახინგი 4:0 ერფურტი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XI ტური

კილი 3:1 მიუნსტერი

სამხრეთ რეგიონალლიგა IX ტური

მიუნხენი (მ) 2:0 შტუტგარტი (მ)

ვეჰენი 2:1 აალენი

რეგენსბურგი 1:2 ელვერსბერგი

### იტალია

სერია B. V ტური

პერუჯა 2:2 ჯენოა

ვიჩენცა 4:2 პიაჩენცა

### ავსტრია

I დივიზიონი. XI ტური

კერნტენი 2:1 ლეობენი

ავსტრია (ლ) 3:0 რიდი

ვიორგლი 3:1 უნტერზიბენბრიუნი

კაპფენბერგი 0:3 გრატკორნი

### თურქეთი

სუპერლიგა. VIII ტური

ანკარა 0:2 გალათასარაი

### პორტუგალია

სუპერლიგა. V ტური

ბოავიშტა 0:1 რიუ ავე

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. X ტური

ვინტერთური 3:2 ბოლმი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XI ტური

ანჟე 1:1 კლერმონი

ბრესტი 1:1 გრენობლი

ლავალი 1:0 გენგამი

ლორიანი 1:2 ამიენი

სედანი 1:0 ლე ავრი

ტრუა 2:1 კრეტეი

მონპელიე 2:0 ლე მანი

ნანსი 3:1 ნიორი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. VII ტური

ნაიმეგენი 3:0 როზენდალი

II დივიზიონი. VIII ტური

სპარტა 1:1 ზვოლე

ტელსტარი 1:0 კამბური

ვენლო 5:2 ეინდჰოვენი

აპელდორნი 4:1 ოსი

ვეენდამი 2:3 მაასტრიხტი

სიტარდი 2:3 ვოლენდამი

იგლსი 3:1 ემენი

ჰელმონდი 1:0 ეძსელსიორი

ჰერაკლესი 0:4 ჰაარლემი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXIX ტური

კორკ სიტი 1:0 შემროკი

ასოციაციის თასი. II ეტაპი

დერი სიტი 1:2 უოტერფორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი გული და ორი სამშობლო

## კახი კახიაშვილი თბილისშია და ცხინვალისკენ იხედება

*ჩვენი და ბერძნების საზიარო, სახელგანთქმული კახი კახიაშვილი თბილისშია. გულმა არ მოუთმინა და ხუთშაბათს თბილისის „დინამოსა“ და „ვისლას“ ფეხბურთელთა შეხვედრაზე ქართველთა გასამხნევებლად მივიდა. იქ, ტრიბუნაზე, ბევრ ძველ ნაცნობსა და მეგობარს შეხვდა. შეხვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონსაც და დაპირდა, ხვალ უთუოდ გეწვევით და მოგინახულებთო*



ჯანო ბაგრატიონი და კახი კახიაშვილი

*გუშინ ოლიმპიურ კომიტეტში მართლაც დათქმულ დროს მოვიდა. ჯანო ბაგრატიონმა რაღა არ გაიხსენა ამ შეხვედრისას: ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე კახი კახიაშვილის ტრიუმფიც და მთელი გაჭირვებული საქართველოს ფონზე თავად დიდი ჩემპიონის გაჭირვებაც: ცივი დარბაზი, მის გასათბობად მოტანილი შეშაც, რომელიც მერე მოუპარავთ... ბაგრატიონმა გაიხსენა კახიაშვილისთვის გამოყოფილი ბინაც, სადაც მის კანონიერ მფლობელს, ოლიმპიურ ჩემპიონს ხელში აყვანილი ბავშვით ერთი გაჭირვებული, ახალგაზრდა ქალბატონი დახვდა. თუ აქედან ძალით გამომიყვანთ, თავს მოვიკლავო. იმ უბედურის თავის მოკვლას კახი კახიაშვილმა გაცლა ამჯობინა და საქართველოსაც გაეცალა. გაეცალა და სხვა მრავალრიცხოვან წარმატებებთან ერთად კიდევ ორი ოლიმპიური ოქრო მოიპოვა.*

— მე მგონია, რომ საქართველოდან არსადაც არ წავსულვარ — გვეუბნება სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი — სულიერადაც საქართველოში ვარ, ფიქრითაც და გონებითაც.

**— ათენში ოლიმპიური თამაშების დასასრულს „ქართულ სახლში“ საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა მოწოდება, კარგი ქართველები საქართველოში უნდა დაბრუნდნენო. მათ შორის თქვენც მოგმართათ. მით უმეტეს, რომ იქვე იყავით. ახლა, როგორც იტყვიან, სიტყვა თქვენზეა.**

— ამასთან დაკავშირებით ბატონ მიხეილ სააკაშვილს დღეს-ხვალ შევხვდები და ჩემი ორმაგი მოქალაქეობის საქმეც გაირკვევა.

**— ამბობენ, კახი კახიაშვილი პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებაო. მართალია?**

— მე არ მინდა ათენში ასეთი ცუდი გამოსვლით დავამთავრო კარიერა. ათენში მუხლებში ძალამ პირველად მიმტყუნა და სამივე ცდა გამიფუჭდა. მინდა, რომ კიდევ ერთი რომელიმე ხრისხის ოლიმპიური მედალი მოვიპოვო. საამისოდ ძალას ვცდი ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნების თამაშებში, მსოფლიოს ჩემპიონატშიც და სხვა შეჯიბრებებზეც. ახლა 35 წლის ვარ და, თუ შევატყობ, რომ საპეკინოდ ძალა მიმყვება, მისთვის აუცილებლად მოვემზადები.

**— და იქ ვისი სახელით გამოხვალთ?**

— აქედან მე გაჭირვების გამო წავედი. გასაგები იყო ის აღშფოთება და უკმაყოფილება, რაც საქართველოდან ჩემმა წასვლამ გამოიწვია, მაგრამ ახლა საბერძნეთის სახელით რომ არ გამოვიდე, ეს ჩემგან დიდი უმადურობა იქნება. მათ ყველა დონეზე ყველანაირი პირობა შემიქმნეს. სწორედ ამან განაპირობა ჩემი მეორე ოლიმპიური ოქროს მოპოვებაც და მესამე ჩემპიონობაც. ბერძნები ახლა თავიანთ სისხლად და ხორცად მიმიჩნევენ. მე როცა საბერძნეთში წავედი, იმ დროს ქეცბაიაც თამაშობდა. ბერძნები მეუბნებოდნენ, საქართველოს ჩვენ არგონავტების მოგზაურობით კი არა, კახიაშვილითა და ქეცბაიათი ვიცნობთო. ამიტომ, როცა აქტიურ სპორტს გამოვეთხოვები, საქართველოს და საბერძნეთის ურთიერთობის განმტკიცებისთვის ვიბრძოლებ. თუმცა, ამას ახლაც ვცდილობ.

**— ამბობთ, ბერძნები თავიანთ სისხლად და ხორცად მთვლიანო. ამაში ჩვენც დავრწმუნდით ახლა, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მაყურებელი მხურვალედ გქომაგობდათ და თქვენდამი უდიდეს პატივისცემას გამოხატავდა მაშინაც კი, როცა შეჯიბრება წარუმატებლად დაასრულეთ.**

— ამ მარცხმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. ძალიან განვიცდიდი და ცუდად ვიყავი. შეჯიბრება რომ დამთავრდა, ჩემი გულშემატკივრების ნაწილი გულმოკლული წავიდა, უმეტესობა კი დარბაზში დარჩა. ისინი მთელი ერთი საათის განმავლობაში ფეხს არ იცვლიდნენ. ზოგს თვალზე ცრემლიც ჰქონდა. იდგნენ და მელოდნენ, როდის გამოვიდოდი და მივესალმებოდი, რათა იქიდანაც მომსალმებოდნენ და მომფერებოდნენ. ახლაც ქუჩაში უცნობებიც კი რომ მხვდებიან, ყველანი მანუგეშებენ და ყველასგან უდიდეს პატივისცემასა და სითბოს ვგრძნობ. ამას ახლა საქართველოშიც ვგრძნობ და ამიტომ ჩემი გული ორად არის გაყოფილი.

**— მაინც, რამ განაპირობა ათენური მარცხი?**

— ალბათ ფსიქოლოგიური ფაქტორიც იყო. ჩემგან ყველა გამარჯვებას ელოდა. ყველა, ვინც მხვდებოდა, ნაცნობიცა და უცნობიც, მეუბნებოდა, ოქროს მედალი გარანტირებული გაქვსო...

**— ელდარ კურტანიძესავით მოგსვლიათ. მისი ჩემპიონობა ოდნავაც არავის აეჭვებდა — ელდარს ნაღდი ოქრო უკვე ხელში უჭირავსო.**

— სპორტსმენმა შეჯიბრებისთვის რამდენიმე წუთით უნდა იფიქროს და არა მთელი დღეების განმავლობაში. ასეთი ფიქრი კაცს ფიტავს, ამას ემატება წონის დაკლება და სხვა ათასი ფაქტორი.

**— ყური მოვკარით, ახლა თქვენ თქვენი მეგობრის გიორგი ასანიძის შვილის მოსანათლადაც ჩამოსულხართ. ვიცით, რომ გიორგიმ თავის ერთ ვაჟიშვილს თქვენს საპატივცემულოდ კახი დაარქვა, თქვენ კი მისი ნათლია ხართ. ასანიძეს კიდევ სამი შვილი ჰყავს და ახლა რომლის მონათვლას აპირებთ?**

— ისევ კახის!

**— ეგ როგორ, მეორედ მონათვლა არ გამიგია.**

— მე ჯერ კახის ნათლია არ ვარ. გვინდოდა, რომ ასე ყოფილიყო, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხეთ. ეს ვერც ამ ჯერზე ხერხდება.

**— კი მაგრამ, წინ რა უდგას ნათლობას?**

— გიორგი საამისოდ მზად არ დამხვდა. ეგონა, რომ დიდი ხნით ჩამოვედი. მაგრამ არა უშავს, რამდენიმე დღეში საბერძნეთში დავბრუნდები, ოქტომბრისთვის კი ჩამოვალ და კარგა ხნით აქ დავრჩები. აქვე მოვემზადები მომავალი სეზონისთვის. თბილისში ვიცხოვრებ, უფრო სწორად, ხშირად ცხინვალში ვიქნები.

**— თქვენ მაინც გარეშე თვალით უყურებთ აქაურობას და ცვლილებებსაც ალბათ უფრო ამჩნევთ...**

— უკვე ათი წელიწადია, რაც საბერძნეთში ვარ. ამ ხნის განმავლობაში შვიდჯერ თუ რვაჯერ ჩამოვედი. ადრე რომ ჩამოვდიოდი, ვხედავდი, რომ სულ უარესობისკენ მიდიოდა ქვეყანა, ახლა კი უკეთესობისკენაა საქმე. ეს თვალის ერთი გადავლებითაც იგრძნობა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ხალხს პესიმიზმის გრძნობა გაუქრა, ოპტიმიზმი დაუფლებია და იმედიანად უყურებს მომავალს. ქვეყნის პრეზიდენტიც ახალგაზრდაა, პარლამენტიც. რაც მთავარია, ყველა მონდომებულია და მჯერა, წარუმატებლობებს წერტილი დაესვა.

**— თქვენი მეგობარი გიორგი ასანიძე პოლიტიკაში მისვლას და პარლამენტარობას აპირებს. თქვენ რა აზრისა ხართ ამაზე?**

— გიორგი ამას აქამდეც ცდილობდა. მე მაშინ ვუთხარი, რომ ჯობდა ჯერ სპორტში ამოეწურა თავისი თავი. ვურჩიე, რომ მას კიდევ ბევრი შეეძლო. ახლა გიორგი ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა და, ეტყობა, ფიქრობს, რომ სპორტში ყველა ტიტული მოიპოვა. ასეცაა და ალბათ ამიტომაც გადაწყვიტა პოლიტიკაში მისვლა. მართალია, იგი ამ საქმეში ჯერ გამოუცდელია, მაგრამ ესეც მოვა. გიორგი ნიჭიერი, ენერგიული, მიზანდასახული კაცია და, მჯერა, რასაც ხელს მოჰკიდებს, მიზანს ყველგან მიაღწევს.

**ავთანდილ გურასაშვილი**



მიხეილ სააკაშვილი: კახი, ყველაფერი კარგად იქნება





ათენის ოლიმპიადა ოლიმპიური გმირის უდიდესი იმედგაცრუებაა



ვანო გრიქუროვმა უნდა თქვას, კაცები გამიზრდიაო

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად შოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@goi.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge